# სარბიელი

სპორტული გაზეთი   გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან   შაბათი, 15 მარტი 1997 №29 (394)   ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორშაბათის იმედად

### რუმინელებმა კვლავ დაგვამარცხეს

**14.03. თბილისი. ახკ-ის სტადიონი**

**თბილისი 17:45 რუმინეთი**

**მსაჯი:** ალფონს გრუმბინასი (ლიტვა)

**თბილისის ნაკრები:** ძაგნიძე (ძამიაშვილი); ჩიქვინიძე, კ. ალანია, ჩხენკელი (ზ. ალანია), ლიპარტელიანი (ჭელიძე); ტეფნაძე, გიორხელიძე (ველიშვილი) — ჩიქავა (ირემაძე, კიკუაშვილი), ჭავჭავაძე (ფირიაშვილი), ჩიქოვანი (მაჭუტაძე); კაცაძე (ხურციძე), გიორგობიანი; სორდია (ნ. მგელაძე), მაგრაქველიძე (ველიძე), დიდებულიძე. — 2ლ: მგელაძე, მაჭუტაძე; 2გ და 2ს: ძაგნიძე

**რუმინეთი:** მაფტეი; ოლარამუ, ნედელკუ, დუმიტრუ, ტალაბა, გურანესკუ, ფლუტური — კონსტანტი, ნეგრეჩი, კოსტა; სტანკა, სამოილა; სეპტარი, რუქსანდრა, გირბუ (არნაუტუ, მოკანუ, მავროდინი, დრაგომირი, მიტუ, ბალმორი, საუნი, ფრუნზა). — 7ლ: მაფტეი 2, საუნი, ფრუნზა, ტალაბა, ოლარამუ, გირბუ; 5გ: გურანესკუ

რუმინელ მორაგბეთა მწვრთნელებმა, იხელმძღვანელეს რა პრინციპით, გამარჯვებულებს არ ცვლიანო, მატჩი იმავე შემადგენლობით დაიწყეს, რაც რუსთავში ჰყავდათ. ტრავმის გამო მხოლოდ შერკინების მესამეხაზელი ფლორინ კოროდიანუ შეცვალეს.

პირველ ნახევარში სტუმრები სწრაფად და ორგანიზებულად მოქმედებდნენ და ოთხი უპასუხო ლელოც გაგვიტანეს.

მეორე ტაიმში თბილისელებს შეეტყოთ, რომ ნერვიულობის ბარიერი გადალახეს და ჯიგრიანად ათამაშდნენ. ამან შედეგიც გამოიღო: ძალისმიერი შეტევის შემდეგ, რომელშიც ლამის მთელი გუნდი მონაწილეობდა, ნუგზარ მგელაძემ ლელო გაიტანა. კაკო მაჭუტაძის ლელოც კოლექტიური ძალისხმევის ნაყოფი იყო, მაგრამ არც რუმინელები იყვნენ გულხელდაკრეფილნი — ჩვენს გატანილს სოლო გარღვევებითა და ლელოებით უპასუხეს.

თუმცა დიდი ანგარიშით ვაგებდით, ჩვენს ბიჭებს ყურები არ ჩამოუყრიათ და შეხვედრის ბოლო 15 წუთი სტუმართა ლელოს მისადგომებთან გაატარეს. ქართველებს დაღლილობისა და შეუთამაშებლობის გამო გადამწყვეტ მომენტებში სიზუსტე აკლდათ. ამად მეტი ლელოს გატანა ველარ შეძლეს.

რუმინელები კიდევ ერთხელ — ორშაბათს, 17 მარტს, ვაკის სტადიონზე წარსდგებიან ქართველი მაყურებლის წინაშე: 4 საათზე კვლავ საქართველოს ნაკრებს შეერკინებიან.

**ერეკლე კიკილაშვილი**

## ფული, მანქანები და ა.შ.

### შეურიგებელნი შევარიგეთ

საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის კახი ასათიანის 1997 წლის ნომერ პირველი ბრძანება საქართველოს ეროვნული გუნდების სპორტული ინვენტარითა და ერთიანი ფორმით უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად და სპორტული ნაწარმის დამამზადებელი ფირმების ტენდერის ჩატარების შესახებ იყო.

ტენდერში „ადიდასის", „პუმას", „კაპას", კორეული „კვონის" დისტრიბუტერები მონაწილეობდნენ. ქართველ სპორტსმენთა შემმოსავი ფირმის ვინაობა კომისიას უნდა დაედგინა, რომელსაც კახი ასათიანი თავმჯდომარეობდა.

გუშინ სპორტის დეპარტამენტში კომისია შეიკრიბა, რათა საბოლოო ვერდიქტი გამოეტანა. აქვე იყვნენ „ადიდასის", „პუმას" და ფირმა „ვოსის" წარმომადგენლები. „ვოსი" თხუთმეტ წამყვან სპორტული ინვენტარის მწარმოებელ ფირმას წარმოადგენს საქართველოში. მათ თავისი პროდუქცია გამოეფინათ დამსწრე საზოგადოების სამსჯავროზე.

სამივე ფირმა თანახმა იყო იმ მოთხოვნებზე, რომლებიც მათ სპორტის დეპარტამენტმა წარუდგინა. გამარჯვებულს უსასყიდლოდ უნდა გადმოეცა ჩვენი მხარისთვის 500 ერთეული I ხარისხის სპორტული კომპლექტი, 22 სახელიანი სპორტსმენისთვის დაენიშნა სტიპენდიები: შვიდისთვის — 700 ლარამდე, ექვსისთვის — 500 ლარამდე და დანარჩენებისთვის — 300 ლარამდე. ფირმას უნდა შეეძინა ორი მიკროავტობუსი და ორი მსუბუქი მანქანა. ერთი მიკროავტობუსი ფრანკფურტში გაიგზავნებოდა და ჩვენი სპორტსმენების გადაადგილებას მოემსახურებოდა. საუკეთესო ფირმას საალღუმოდ უნდა შეემოსა ჩვენი დელეგაცია სიდნეის ოლიმპიადაზე.

სპორტის დეპარტამენტი თავის მხრივ ვალდებულებას იღებდა, ყოველწლიურად შეესყიდა არანაკლებ 500 000 ლარის სავარჯიშო ფორმა და სპორტული ინვენტარი.

ტენდერის შედეგი მოულოდნელი გამოდგა: რადგან სამივე ფირმის წარმომადგენელი ასეთ ხელშეკრულებაზე ყაბულს იყო, ამიტომ გადაწყდა, რომ ქართველი სპორტსმენები „ადიდასის", „პუმას" და „ვოსის" მიერ წარდგენილი „ჩემპიონის", „არენას", „სპიდოს", „სალომონის" და „ფილლკლის" სამოსითა და აღჭურვილობით იასპარეზებენ. ვინ რომლით, ამას ფედერაციები და დეპარტამენტი ერთად გადაწყვეტენ.

კონტრაქტს, ერთი მხრივ, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი და განათლების სამინისტრო მოაწერენ ხელს, მეორე მხარე კი ზემოთ ნახსენები ფირმები — „ადიდასი", „პუმა" და „ვოსი" არიან.

ამრიგად, 73 წლის წინ სამტროდ გაყოფილი ძმების — ადოლფისა („ადიდასი") და რუდოლფის („პუმა") შთამომავალთა ნაღვაწს ქართველები სასიკეთო საქმეში მოვიხმართ.

**ერეკლე კიკილაშვილი**

**ფუხელ**

## პსჟ ძმებასთან შხასიათოდ ჩავა

**ბუნდესლიგა.** ზანქტ პაული — ჰამბურგი 2:2, დუისბურგი — კარლსრუე 2:2

**მეორე ბუნდესლიგა.** ფორტუნა (კიოლნი) — აინტრახტი 0:0, როტ ვაისი — მაინცი 0:2

**თურქეთის** ჩემპიონატი. ბეშიქთაში — დენიზლისპორი 2:1

**საფრანგეთის** ჩემპიონატი. ბასტია — მონპელიე 2:2, ნიცა — ნანტი 1:2, ოსერი — კანი 3:1, ლილი — ნანსი 2:0, ლე ავრი — პარი სენ ჟერმენი 1:0, მარსელი — სტრასბური 0:1

**სენსაცია**

## იუვე ტურინიდან მიდის

იტალიურ ფეხბურთში სენსაცია მწიფდება — „იუვენტუსი" ტურინის დატოვებას აპირებს. სავარაუდოდ, „ბებერი ქალბატონის" დედინაცვალი ბოლონია იქნება, ახალი სახლი კი იქაური „რენჯო ემილია". ყველაფერში დამნაშავე 1990 წელს, მსოფლიოს პირველობისთვის 125 მილიონ დოლარად აგებული „სტადიო დელე ალპი" გახლავთ.

70 ათასიანი „დელე ალპი", რომელიც ტურინის საბჭოს საკუთრებაა, ფრიად ძვირი შესანახია. მისი მოვლა წლიურად რვა მილიონი დოლარი ჯდება, ტრიბუნები კი უმეტესად ცარიელია. რატომ არ ივსება „იუვეს" თამაშებზე სტადიონი, ძნელი სათქმელია. ის კი ფაქტია, რომ კლუბს სახელმწიფოსთვის ყოველწლიური 3,5 მილიონის გადახდა უწევს. ეს იჯარის თანხაა.

საინტერესოა, რომ ინგლისისგან განსხვავებით, სადაც სტადიონები მასზე მოთამაშე კლუბებს ეკუთვნის და სარეკლამო, ბილეთების თუ სხვა შემოსავალს კლუბებივე განაგებენ, იტალიაში, ბოლონიის „რეჯო ემილიას" გარდა, ყველა სარბიელი სახელმწიფოსია. იტალიის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვალტერ ველტრონი ახლა ცდილობს სპორტულ ნაგებობათა პრივატიზაციის გაჩარხვას, მაგრამ „იუვენტუსის" ვიცე-პრეზიდენტ რობერტო ბეტეგას თუ მოვუსმენთ:

— ვის სჭირდება „დელე ალპი"? ეს სტადიონი წელიწადში 12 მილიარდი ლირა ჯდება და ჩვენ მომდევნო ათწლეული აქ უნდა გავატაროთ? ამაზე საუბარიც კი არ მსურს.

„იუვენტუსი" ტურინის სტადიონს თანაქალაქელ „ტორინოსთან" იზიარებს, მაგრამ მაინც გაქცევისკენ უჭირავს თვალი: ოღონდ აქ არ ვიყოთ, თუ გინდ სამხრეთ იტალიაში გადავბარგდებითო.

იტალიური ლიგის პრეზიდენტმა ფრანკო კარარომ თავისი პოზიცია ასე გამოხატა:

— ვფიქრობ, ლიგის მოვალეობა ნებისმიერი კლუბის დახმარებაა. სპორტული თვალსაზრისით კლუბის შინიდან გადახვეწა და სხვა ქალაქში თამაში ვერაფერი ხეირია. ყველაფერი ალბათ მომავალი სეზონის დასაწყისისთვის გაირკვევა.

ქალაქის საბჭოს თავკაცები კი ამასობაში ფიქრს მიეცნენ. მათ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო გუნდის ხელიდან გაშვება სულაც არ ეპიტნავებათ. „იუვეს" გადაწყვეტილების მიღება ეჩქარება, საბჭო კი აპრილში არჩევნებს ელის.

ერთ-ერთ გამოსავლად ასეთი რამ მოიფიქრეს: „იუვეს" ძველ „სტადიო კომუნალეს" შესთავაზებენ, სადაც ადრე დიდების წლები გაუტარებია, „ტორინოს" კი ასევე ძველ „ფილადელფიის" სტადიონზე სთხოვენ გადაბარგებას. „სტადიო კომუნალეზე" დღეს „ბებერი ქალბატონის" სარეზერვო გუნდი თამაშობს.

ვნახოთ, „იუვე" საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს ხანს მიიღებს.



გუშინ „სინათლის" სტადიონზე: „გურიიდან" გადასულმა დათო გოდერძიშვილმა (მარჯვნივ) „მარგვეთს" ორი გოლი გაუტანა

## გუშინ ჩემპიონატი განახლდა

**მერანი 4:0 მარგვეთი**

**მერანი:** დოლიძე, ქველაძე, ჯიშკარიანი, მაზიაშვილი, ქორიძე, ბ. კვირაცხელია (დავითაშვილი 83), გოგიტაძე, ჭოლოკავა (ბუტიკაშვილი 89), დ. გოდერძიშვილი (ლ. ამბიძე 88), დანელია

**მარგვეთი:** გვენცაძე, მერაბ თევზაძე, გურიელიძე, თ. გაბრიჭიძე, ბუცურეიშვილი (მ. მუმლაძე 61), კაციაშვილი, სულაყაძე, გაწაძე, ჯურხაძე (გუბელაძე 52), უკლება, მოსიკაშვილი

1:0, 2:0 გოდერძიშვილი (17, 64), 3:0 დავითაშვილი (89), 4:0 მაზიაშვილი (90)

**მსაჯი:** მ. კობიაშვილი (დუშეთი)

გუშინ, ავჭალაში განახლდა ეროვნული ჩემპიონატი და აწი მოსაწყენადაც ვერ მოვიცლით, თუ, ცხადია, ისეთი მატჩები ნაკლებად იქნება, როგორიც „მერანი" — „მარგვეთის" შეხვედრა იყო.

ეს გუნდები ჩემპიონატის პირველ ტურში შეხვდნენ ერთმანეთს და „მერანმა" ზესტაფონში მარცხი იწვნია — 0:3. თბილისელთათვის „მარგვეთთან" შეხვედრა სადებიუტო იყო და ალბათ ამანაც იმოქმედა. ყოველ შემთხვევაში, გუშინდელი თამაშის შემყურე სხვას ვერას იფიქრებდა კაცი. თანაც, შარშან მარგველები უეფას თასზე ასპარეზობდნენ. მართალია, „მარგვეთმა" თავი შეირცხვინა მალტელებთან, მაგრამ ევროპაში თამაშის გამოცდილება მიიღო და სტიმული ამანაც მისცა. პირველი წრის შემდეგ, გუნდიდან წასულ ფეხბურთელებზე რომ არაფერი ვთქვათ, „მარგვეთი" ერთობ შესუსტებულია და შარშანდელის აჩრდილიღა დარჩენილა. ამაზე გუშინდელი მატჩიც მეტყველებს. სტუმრებმა, ფაქტობრივად, ვერცერთი რეალური საგოლე მომენტი ვერ შექმნეს და პირწმინდად დამარცხდნენ. „მერანის" საქმეები კი, როგორც ჩანს, პირიქითაა — საკმაოდ მობილიზებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა, ახალწვეულებიც კარგად შეეგუენ ძველებს და ასე თუ გააგრძელეს, იქნებ ევროპის საგზურსაც გამოჰკრან ხელი. თუმცა, ერთი მატჩით, თანაც „მარგვეთთან", ამაზე მსჯელობა ნაადრევად გვეჩვენება.

როგორც ვთქვით, მატჩი უფერულად, მონოტონურად მიმდინარეობდა. ანგარიშიც ვერ ასახავს თამაშის რეალურ სურათს. 88 წუთის განმავლობაში ჩემი საფიქრალი ის იყო, რედაქციის დავალება როგორ შემესრულებინა. მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე კი შვებით ამოვისუნთქე — „მერანის" მწვრთნელმა თემურ მახარაძემ ზედიზედ ორი შეცვლა გააკეთა და ორი წუთის მანძილზე ანგარიში ორით გაიზარდა. ახალშესული ბუტიკაშვილის პირველივე შეხება ბურთთან ისეთი პასით დასრულდა, ტრიბუნებზე შეკრებილებმა აღფრთოვანება ვერ დამალეს. შემდეგ ყველაფერი ტექნიკის საქმე იყო, რომელსაც დავითაშვილს ნამდვილად ვერ დაუწუნებ. წუთის შემდეგ კი უკვე ამბიძემ დაიდო წილი მერანელთა თვალსაჩინო რევანშით გამარჯვებაში: ივანიშვილს გადააწოდა, მან საჯარიმოში ჩააწოდა და მაზიაშვილმა ულამაზესი გოლით წერტილი დაუსვა ზესტაფონელთა განადგურებას. სიტყვამ მოიტანა და გოდერძიშვილის გოლებზეც ვთქვათ: „მარგვეთი" მეტისმეტად გაერთო შეტევებში, დაცვაში თამაში დაივიწყა და „მერანის" კონტრშეტევა საჯარიმოში ეულად დარჩენილმა ყოფილმა ლანჩხუთელმა გოლით დაასრულა. ამის შემდეგ სტუმრები ოდნავ გააქტიურდნენ, მაგრამ კობიაშვილის სასტვენის ხმამ გუნდებს დასასვენებლად უხმო. შესვენების შემდეგაც იგივე სცენარით მიმდინარეობდა მეორე წრის გახსნის მატჩი. თუმცა, გოდერძიშვილმა კიდევ ერთხელ გამოაფხიზლა მაყურებლები და შეახსენა მათ, რომ საფეხბურთო მატჩს ესწრებოდნენ: „მარგვეთის" საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, ივანიშვილმა ამით ისარგებლა და კარგ პოზიციაში მყოფ გოდერძიშვილს ისე დაუგორა, გოლის გატანის მეტი აღარაფერი დარჩენოდა. დანარჩენზე უკვე ვთქვით და ისიც აღვნიშნეთ, რომ ჩვენი ყურადღება არაფერს მიუპყრია.

მატჩის შემდეგ თემურ მახარაძემ თქვა:

— ზესტაფონში, პირველ წრეში „მარგვეთთან" თამაშს რა დამავიწყებს. პირველ ჯგუფში, პირველივე შეხვედრაში სასტიკად დაგვამარცხეს. ბუნებრივია, ფეხბურთელებსაც რევანშის სურვილი არ აძლევდა მოსვენებას და მოხარული ვარ, რომ ბიჭებმა ჩემი დავალება პირნათლად შეასრულეს.

**კობა ინასარიძე**

# დინამო ელიმაისთან არ უნდა აგებდეს

14 მარტს ეროვნული სტადიონის ოსტატთა კლუბში დავით ყიფიანმა შეპირებული პრეს-კონფერენცია გამართა — ამჯერად, როგორც „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა, თუმცა, პრეს-კონფერენციის მსვლელობისას გაკვრით სანაკრებო თემასაც შეეხო.

თავდაპირველად „დინამოში“ არსებულ ვითარებაზე ისაუბრა:

— მოგეხსენებათ, პირველი წრის შემდეგ გუნდი რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დატოვა. რეალური შევსება არ მიგვიღია. ძირითადად კვლავ ჩვენი გაზრდილების იმედად ვართ. ამიტომ „დინამო 2“-დან რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა დავიმატეთ.

— მეორე წრის წინ რეალურ მდევარს 4 ქულით ვუსწრებთ, თეორიულად — 7 ქულით. თუმცა, უშუალო კონკურენტებს — „ბათუმს, „კოლხეთს“, „ოდიშსა“ და „მარგვეთს“ სტუმრად ვხვდებით, რაც თავის დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს.

...ამ მცირე შესავლის შემდეგ ყიფიანმა ისაუბრა იმ მიზეზებზე, რომელთა გამოც ჯერ არ აქვეყნებს ნაკრების 42 კაციან სიას:

— მართალია, სანაკრებოდ 42 კანდიდატი გვყავს შერჩეული, მაგრამ მათ გამოქვეყნებას ვერიდებით. ეს სია ჯერ პირობითია და არა საბოლოო. ახლა 20 კანდიდატს გამოვცდით, შემდეგ სხვებსაც და ღირსეულთა ვინაობაც ამის შემდეგ დადგინდება. ამიტომ ჯერ ნაადრევად მიმაჩნია კანდიდატებზე საუბარი.

...შემდგომ ყიფიანმა ჟურნალისტთა შეკითხვებს გასცა პასუხი:

**— როგორ შეუთავსებთ ერთმანეთს ნაკრებში და „დინამოში“ ერთდროულად მუშაობას?**

— როგორ შევათავსებ, ეს ჩემი საქმეა! წუთებიც ხომ არ გაინტერესებთ, ნაკრებს რა დროს დავუთმობ და „დინამოს“ რამდენს? უცნაურ შეკითხვას მისვამთ... დრო გვიჩვენებს, ეს რეალური იქნება თუ არა... ჯერ მუშაობა არ დამიწყია და უკვე იმას მეკითხებით, რას ვაპირებ და როგორ.

**— როგორც ვიცით, კობიაშვილმა „ალანიასთან“ ნახევარწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ჩემპიონთა თასის გათამაშებისთვის იგი „დინამოს“ შეუერთდება?**

— ასეთი მოლაპარაკება გვქონდა კობიაშვილის თაობაზე. სხვათა შორის, იგივე შემიძლია ვთქვა ზოგიერთ ჩვენგან წასულ მოთამაშეზე, თუნდაც იაშვილზე. იმედი მაქვს, რომ ჩემპიონთა თასის პირველი წრის დაწყებამდე წასულთა ნაწილი დაგვემატება. ჩვენ უკვე ვიცით, რომ პირველი თამაში 23 ივლისს გვექნება. რეალურად შესაძლებელია, რომ პირველ ეტაპზე საქართველოზე ნაკლები კოეფიციენტის მქონე ქვეყნის შედარებით სუსტ ჩემპიონს შევხვდეთ. თუ ასე მოხდა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პირველ ეტაპს დავძლევთ. მეორე წრეში კი უფრო ძლიერი მეტოქე გვეყოლება. ამ ეტაპზე ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა ჩვენთვის დიდი მიღწევა იქნება. შარშანდელი გუნდი რომ შეგვენარჩუნებინა და ჩვენთვის სასურველი 3-4 მოთამაშეც აგვეყვანა, ასე არ ვისაუბრებდი. მაშინ ჩვენ ვალდებულებიც კი ვიყავით, ფინალურ ეტაპზე გვეთამაშა.

**— ახლა თუ გაქვთ უფლება, „დინამო 2“-ის მოთამაშეები ძირითადში ათამაშოთ?**

— სხვათა შორის, პირველ წრეში რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე — კობიაშვილი, კალაძე, იაშვილი და მუჯირი „დინამო 2“-ის განაცხადში გვავდა და ძირითადში ვათამაშებდით. ახლაც ასეთი ვითარებაა. კვარაცხელიას, მუჯირს, ასათიანს, დავითნიძესა და კალაძეს წყალტუბოში წავიყვანთ. საერთოდ, მიმაჩნია, რომ „დინამო 2“-ის ჩამოყალიბებით დიდი საქმე გაკეთდა. აქ ბევრი ნიჭიერი მოზარდი იმაღლებს ოსტატობას და ცვლასაც ვილებთ. საამისოდ ჩვენი საფეხბურთო სკოლაც გვაქვს. გარდა ამისა, 35-ე სკოლის ხელმძღვანელობასაც ვესაუბრეთ და თანამშრომლობა შევთავაზეთ. ჩვენი მიზანია, ყველა ნიჭიერი მოთამაშე მხედველობაში გვყავდეს, არცერთს არ უნდა მოვაკლოთ ყურადღება.

**— ჩემპიონთა თასზე ღირსეულად გამოსასვლელად რომელიმე უცხოურ ტურნირში ხომ არ აპირებთ მონაწილეობას?**

— რა თქმა უნდა. ჩემპიონატის დამთავრებისთანავე მოთამაშეებს ორკვირიან შვებულებაში გავუშვებთ და 22 ივნისისთვის შევიკრიბებით. 5 ივლისიდან გერმანიაში შეკრების გავლა გვაქვს დაგეგმილი. თუ ეს მოვახერხეთ, ვთვლი, რომ მომზადების ჩინებული საშუალება გვეძლევა.

**— ითქვა, რომ სლავა მეტრეველის დასახმარებლად „დინამოს“ სოჭის „ჟემჩუჟინასთან“ საქველმოქმედო შეხვედრა აქვს განზრახული...**

— მოგეხსენებათ, სოჭში ბევრი ქართველი თამაშობს. მე ვესაუბრე „ჟემჩუჟინას“ მთავარ მწვრთნელს არსენ ნაიდენოვს, თუმცა მას ამ თამაშის თაობაზე არაფერი უთქვამს. ისე კი, რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა ასეთი შეხვედრის ჩატარება. სხვათა შორის, საქველმოქმედო მატჩის გამართვა მოსკოვის „ტორპედოს“ ხელმძღვანელებსაც შევთავაზეთ. მიუხედავად მძიმე და გადატვირთული კალენდრისა, ასეთი შეხვედრების ჩატარებას მივესალმები. თუ სოჭელებმაც სურვილი გამოთქვეს, დიდი სიამოვნებით შევხვდებით.

**— კიევის „დინამო“ რატომ არ ჩამოვიდა?**

— ჯერ იმას გეტყვით, რომ ესენგეს თასზე ლობანოვსკიმ თავად შემომთავაზა ამ შეხვედრის გამართვა, ძველი ურთიერთობების აღდგენის მიზნით. მას შემდეგ კიეველები უცხოეთში გაემგზავრნენ შეკრებაზე და ლობანოვსკის ველარ შევხმიანე. როგორც კიევის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელისგან ვერემეევისგან შევიტყვე, მოსკოვის „ტორპედოს“ თანხმობა გამოუთქვამს კიევში ჩასვლაზე. ჩვენი თამაშიც ამიტომ გადაიდო, თუმცა დღის წესრიგიდან ჯერაც არ მოხსნილა.

**— როგორ აფასებთ „დინამოს“ გამოსვლას ესენგეს თასზე?**

— მეტის მიღწევა შეგვეძლო. მართალია, შედეგს დიდ ყურადღებას არ ვაქცევდით, მაგრამ, ბუნებრივია, „დინამოს“ პრესტიჟს ვუფრთხილდებოდით.

მიმაჩნია, რომ „სკონტოსთან“ უნდა მოგვეგო. მატჩიც ჩვენი უპირატესობით წარიმართა. მოსაგები თამაში პენალტების სერიით წავაგეთ. ჩემი აზრით, მოთამაშეები ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო დაისაჯნენ. წინა სამი შეხვედრა ხომ ურიგოდ არ ჩავატარეთ და ფეხბურთელებსაც ლატვიელებთან გამარჯვების იმედი მიეცათ. გამოუცდელობამაც თავისი გაიტანა, რადგან ძალების სრული მობილიზაცია ვერ შევძელით. თუმცა, მარცხის ამ მიზეზებისთვის გადაბრალება გაუმართლებლად მიმაჩნია. საერთო ჯამში, ვფიქრობ, ტურნირმა კეთილი სამსახური გაგვიწია.

**— თურქმენეთის ტურნირზე რაღას იტყოდით?**

— ტურნირის შემდეგ ჩვენ კრება ჩავატარეთ და ფეხბურთელებს მკაცრად ვესაუბრეთ. გამოცდილსა თუ გამოუცდელს, ყველას კატეგორიულად ვუთხარით, რომ თუ კიდევ შეირცხვენენ ასე თავს, უმკაცრეს ზომებს მივიღებთ. ფეხბურთელები დავაჯარიმეთ კიდეც. ვთვლი, რომ ისინი გულისხმიერად არ მოეკიდნენ გუნდის ავტორიტეტს. მართალია, თურქმენებმა რეგლამენტი შეცვალეს და წინასწარ გამოგზავნილი კალენდარი დაარღვიეს, რამაც გარკვეული გავლენა იქონია მოთამაშეებზე, მაგრამ არც ეს ამართლებს მათ. „ელიმაისთან“ „დინამო“ არ უნდა აგებდეს. ეს გუნდი შარშან ესენგეზე გავანადგურეთ. წელს, მართალია, ჩვენ დავსუსტდით და ისინი, პირიქით, არგენტინელებითა და ბრაზილიელებით გაძლიერდნენ, მაგრამ მათთან მაინც არ უნდა წაგვეგო.

**— იქნებ ეს წაგებები შემთხვევითი არ არის და რაღაც კანონზომიერების შედეგია?**

— რა თქმა უნდა, „დინამო“ ისეთი ძლიერი არ არის, როგორც შარშან. თანაც, ჩვენ აღარ ვართ ისეთ პრივილეგირებულ მდგომარეობაში, როგორც სსრკ ჩემპიონატებისას, როცა მოთამაშეებს სურვილის მიხედვით ვიწვევდით. ახლა დრო შეიცვალა და ძველებურად აღარ არის საქმე. სეზონის წინ აშვეთიას და რამდენიმე მოთამაშის დამატება გვსურდა, მაგრამ ამის საშუალება არ მოგვეცა. მეორე წრის წინაც, ფაქტობრივად, ვერავინ დავიმატეთ, წასვლით კი უამრავი მოთამაშე წავიდა, რის გამოც სერიოზული პრობლემები შეგვექმნა. ეს გუნდს დაეტყო კიდეც. მაგრამ ახლა მთავარია, ახალწვეულები ფსიქოლოგიურად განვაწყოთ და შთავაგონოთ, რომ მათი დრო უკვე დადგა.

გუნდის გაძლიერებას ემსახურება „დინამოში“ შექმნილი კონკურენციაც. „დინამო 2“-დან სწორედ ამიტომ მოიწვიეთ ახლები.

...ამ დროს ყიფიანმა დროებით შეწყვიტა „დინამოზე“ საუბარი და ჟურნალისტებს მოგვმართა:

— მინდა გთხოვოთ — ერთად ვაკეთოთ საქმე. ზოგჯერ ისეთი წერილები ქვეყნდება, საერთო საქმეს რომ ვნებს. მე იმ ჟურნალისტს აღარ დაველაპარაკები, რომელმაც „ოდიში“ — „დინამოს“ თამაშის შესახებ დაწერა... რა სიტყვაა მტრობა? მისი თქმით, ჩვენ და ზუგდიდელები მტრები ვყოფილვართ. თვითონ იყო ზუგდიდში, თვითონ ნახა, რომ მოედანი დატბორილი იყო და მატჩის გამართვა შეუძლებელი იყო. რომ ჩატარებულიყო, საყვედურს იტყოდა — რატომ ჩაატარეს, ფეხბურთელებს შესაძლებლობის გამოვლენის საშუალება არ ჰქონდათო. ასე არ შეიძლება. საქმე მარტო ფეხბურთი არ არის. ფეხბურთელების უკან უამრავი გაჭირვებული ადამიანია, რომლებიც პრესამ კეთილად უნდა განაწყოს და არა გაალიზიანოს. არ ვიცი, როგორ დაგვხვდებიან 2 აპრილს ზუგდიდში. ვინც „ოდიში“ — „დინამოს“ არშემდგარ შეხვედრაზე ასე დაწერა, ქვეყნის წინსვლას უშლის ხელს.

**— თურქმენეთში „დინამოს“ თემურ დიმიტრიშვილიც ახლდა. გადაწყდა თუ არა მისი „დინამოში“ დარჩენა?**

— დიმიტრიშვილს დიდი ხანია ვიცნობ. მან ჩვენთან გაიარა მოსამზადებელი ეტაპი. მსურდა კიდეც მისი დამატება, მაგრამ უკრაინელებისგან პრობლემა შეგვექმნა. როგორც იცით, თემური ბოლოს „ზარია-მალსში“ თამაშობდა. ვცდილობდი, დავკავშირებოდი ლუგანსკელთა ხელმძღვანელობას, მაგრამ ვერ მოვახერხე. ახლა შევეცდები უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ევგენი ბანნიკოვის დახმარებით მოვფინო ამ საქმეს ნათელი. რაც მთავარია, მინდა, რომ დიმიტრიშვილმა ჩვენთან ითამაშოს.

...ბოლოს ყიფიანმა იმაზე ისაუბრა, რაც მუშაობაში პრობლემებს უქმნის:

— ვიცი, რომ ყოველ ქართველს გულს წყვეტს ის გარემოება, რომ სასურველი თანხის არქონის გამო ყოველწლიურად გვტოვებენ წამყვანი მოთამაშეები. ეს ძლიერი გუნდის ჩამოყალიბების საშუალებას არ გვაძლევს. ჩვენც რა დაგვრჩენია, ვყიდით მოთამაშეებს და ამით ვირჩენთ თავს. ამის სურვილი კი ნამდვილად არ გვაქვს. „ბოავიშტას“ მაგალითს მოვიშველიებ. მისი ყოველწლიური საბრუნავი თანხა 25 მილიონი დოლარია. ისინი ფეხბურთელებს ყიდულობენ და ყიდიან, ფაქტობრივად, ვაჭრობას ეწევიან. ასეთი რამ ჩვენთვის მიუღებელია. „ბოავიშტასნაირი“ საშუალება რომ გვქონდეს, მოთამაშეებს კი არ გავყიდიდით, შედარებით სუსტ პოზიციებს გავაძლიერებდით შეძენილი ფეხბურთელებით, თუნდაც რუსებით და იუგოსლაველებით. ჩვენ არ გვსურს რომელიმე გუნდის დამატებად ან ფარმ-კლუბად ვიქცეთ, მაგრამ ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებისთვის საჭირო თანხა არ გვაქვს.

ამის შემდეგ ყიფიანმა დარბაზი დატოვა, რადგან „მერანი“ — „მარგვეთის“ მატჩზე მიიჩქაროდა და კითხვებზე პასუხის გაცემა „დინამოს“ პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას მოუხდა. მან პრეზიდენტთა ახალდაარსებული საბჭოს ფუნქციებსა და მომავალზე ისაუბრა, რაზეც წინა „სარბიელი“ უკვე გაუწყებდათ. გარდა ამისა, კითხვები ეროვნული სტადიონის მეპატრონის ვინაობასაც შეეხო, რაზეც ჟორდანიამ ბრძანა:

— 13 მარტს კიდევ ერთხელ მივიღე იტალიელთა ფაქსი. როგორც იცით, სტადიონის მეპატრონის ვინაობის დადგენით მათ გარდა უეფაც არის დაინტერესებული. იტალიელები გაოგნებულები არიან. პასუხს ელიან ელემენტარულ კითხვაზე — ვინ არის სტადიონის მეპატრონე? ბოლო ფაქსში იტალიელები კატეგორიულად მოითხოვენ პასუხს, თანაც ერთ კვირაში. ახლახან ნოდარ ახალკაცი სახელმწიფო მინისტრს ნიკო ლეკიშვილს შეხვდა და ამ საკითხზე ესაუბრა. იმედია, ახლა მაინც გაირკვევა მეპატრონე. მისი ვინაობის დადგენის შემთხვევაში უეფა 3 მილიონ დოლარს გადმოგვირიცხავს. მართალია, თუ პასუხს ვერ შევუთვლით, საქართველოს ნაკრებს თბილისში თამაშს არ აუკრძალავენ, მაგრამ 1998 წლიდან ამის უფლებასაც არ მოგვცემენ.

**— დაბრუნდება თუ არა რევიშვილი „დინამოში“?**

— ჩვენ ზაზას ველაპარაკეთ და დარჩენა შევთავაზეთ, მაგრამ იგი უარზეა.

**მერაბ გამულაშვილი**

## ანჩაბაძე ნორვეგიაში?



უკვე მეორე კვირაა, თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველი გიორგი ანჩაბაძე კვიპროსს იმყოფება. გიორგის შესახებ მეტად მწირი ინფორმაციები მოდის, მაგრამ, როგორც გუშინ შევიტყვეთ, მისით უკრაინის უმაღლეს ლიგაში მოთამაშე ვინიცის „ნივა“ დაინტერესებულა და გიორგისთვის უკრაინის ჩემპიონატში ძალების მოსინჯვა შეუთავაზებია. შეგახსენებთ, რომ ანჩაბაძე კვიპროსში ტალინის „ფლორას“ ახლდა და ამ გუნდის პრეზიდენტი აივარ პოლაკი მას მაისამდე „ფლორაში“ თამაშს ურჩევდა, იმ პირობით, რომ მერე ახალ კლუბს გამოუძებნიდა. ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, ჩვენებური მესამე ვარიანტს აირჩევს. თურმე მეოთხე დღეა, გიორგი ერთ-ერთ ნორვეგიულ კლუბთან ერთად ვარჯიშობს და ერთ საკონტროლო მატჩშიც უთამაშია. ნორვეგიელებს ჩვენებური მოსწონებიათ და სამშაბათს კონტრაქტის პირობებზეც მოელაპარაკებიან. აქედან გამომდინარე, თითქმის გადაწყვეტილია — ანჩაბაძე ნორვეგიაში ითამაშებს.

## უკრაინის თასი ქართველებისაა

უცხოეთში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელები ხელმოსაკიდი წარმატებებით მაინცდამაინც ვერ გამოიდებენ თავს. ამ მხრივ ყველაზე უკეთ ქართველ ალანიელებს აქვთ საქმე, დიადი რუსეთის ჩემპიონები რომ გახდნენ. ჩემპიონატის სიძლიერის გათვალისწინებით, ამათთან ერთად ცხადაძის მიერ ბუნდესლიგაში მოპოვებული ბრინჯაოს, ქეცბაიას და ტყუპების საბერძნეთ-თურქეთის ვიცე-ჩემპიონობის თუ თასის მფლობელობის მოხსენიებაც არ იქნება უადგილო. სხვებსაც შეუძლიათ დაიკვეხნონ ნაკლებმნიშვნელოვანი საფეხბურთო ქვეყნების ჩემპიონობითა თუ პრიზიორობით.

უკრაინაში მოთამაშე ქართველთა გუნდებიდან ერთ-ერთი უეჭველად აიღებს ქვეყნის თასს, რადგან ფინალში გასულ გუნდებში ჩვენებურები გამოდიან. ჩიხრაძისა და ფოცხვერიას „შახტიორმა“ ნახევარფინალში 2:1, 3:0 კიევის ცსკა დაამარცხა, კილასონიების „დნეპრმა“ კი 3:0, 0:2 მოუგო ზაპოროჟიეს „მეტალურგს“.

„შახტიორის“ რიგებში ბოლო ხანს აღარ თამაშობს საქართველოს ნაკრების წევრი ჩიხრაძე, თუმცა ძირითად შემადგენლობაში მისი ადგილი მეორე ქართველმა, ახალგაზრდული ნაკრების წევრმა მიხეილ ფოცხვერიამ დაიკავა. ეს ჭაბუკი ფორვარდი განმეორებით მატჩში აქტიური თამაშითა და გოლის გატანით გამოირჩა.

„დნეპრმა“ ნახევარფინალის მეორე მატჩში მხოლოდ ვია კილასონია ათამაშა და ისიც ოღონ 24 წუთით. გაზეთი „სპორტ-ექსპრესი“ არ იუწყება, რატომ შეცვალეს ძმათაგან უმცროსი ვარლამ კილასონია.

ასე თუ ისე, უკრაინის თასს, ისევე, როგორც ორი წლის წინ, ახლაც „შახტიორი“ და „დნეპრი“ ეცილება ერთმანეთს და ვინც არ უნდა იძალოს მათ ბრძოლაში 25 მაისს, ოთხიდან ორი ქართველი უკრაინის თასის მფლობელი გახდება.

## სეფაშვილს თამაშის გაყიდვა დააბრალეს...

ვასილ სეფაშვილს, რუსეთის უმაღლესი ლიგიდან გავარდნილი „ლადა“ რომ მიატოვა და პირველი ლიგისვე „ნეფტეხიმიკში“ გადავიდა, ტოლიატელები თამაშების „ჩაშვებას“ აბრალებენ. „სპორტ-ექსპრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში „ლადადან“ წასვლის ერთ-ერთ მიზეზად იგი ამ ბრალდებას ასახელებს.

— მე და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს კონფლიქტი მოგვივიდა კლუბის ხელმძღვანელობასთან. ჩვენ ბრალი დაგვდეს თამაშების გაყიდვაში, მაგრამ მე ხომ რუსეთში სათამაშოდ ჩამოვედი და არა სავაჭროდ...

## ...ჯიშკარიანი დააჯარიმეს

კვიპროსში მყოფი „კამაზი“ კვლავინდებურად ამხანაგურ შეხვედრებს მართავს, რომლის ერთ-ერთი მონაწილე და მთავარი ფიგურა მიშა ჯიშკარიანია.

ერთ-ერთ ბოლო თამაშში კრასნოდარის „კუბანთან“ მიშამ თავი გოლის გატანით კი არა, მცირე სკანდალური ისტორიით დაგვამახსოვრა. პირველი ტაიმის ბოლოს, როცა „კამაზი“ 1:0 იგებდა, მიშამ ჯერ საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, შემდეგ კი მეტოქის მცველს ჩხუბი გაუმართა, რისთვისაც, როგორც ჩხუბისთავი, გააძევს.

ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზის“ ლიტველმა მწვრთნელმა ბენიამინას ზელკიავიჩუსმა თამაშის დამთავრებისთანავე კრება მოაწყო ამ ინციდენტთან დაკავშირებით და ჯიშკარიანი მოზრდილი თანხით დააჯარიმა.

## ხორხელი მძიმედ დაშავდა

საქართველოს თასის განმეორებითი შეხვედრისას, როცა ერთმანეთს თბილისური კლუბები „შევარდენი“ და „მერანი“ ხვდებოდნენ, მეორე ტაიმის დასაწყისში მერანელთა გამთამაშებელმა ლევან ხორხელმა მძიმე ტრავმა მიიღო და მატჩის დამთავრების შემდეგ სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოსკენ გააქანეს. ახლა ექიმების დიაგნოზი შევიტყვეთ — ჯვარედინი იოგების დაზიანება, რომელიც მეტად რთული გადასატანია. შედეგი — ფეხბურთელს ფეხი უკვე თაბაშირში აქვს. სავარაუდოდ, ხორხელი ვარჯიშს ორთვენახევარში განაახლებს.

## მეორე ჯგუფი

აღმოსავლეთი

XXI ტური

ჭაბუკიანი — ლოკომოტივი 0:5
ყინერი — ასკ 0:3
მესხეთი — აკადემია 1:3
ცხინვალი — იბერია 2:1
მრეტები — შევარდენი 2 0:1
შირაქი — სამგორი 1:0
თორი — არმაზი 2:1
ავაზა — მორკინალი 0:2
დინამო 2 — დურუჯი 5:0
35 სტუ — კოდაკო 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 21 | 19 | 2 | 0 | 56:6 | 59 |
| მორკინალი | 21 | 17 | 3 | 1 | 53:8 | 54 |
| ასკ | 21 | 14 | 1 | 6 | 41:27 | 43 |
| დინამო 2 | 21 | 13 | 4 | 4 | 70:18 | 43 |
| ცხინვალი | 20 | 14 | 0 | 6 | 38:21 | 42 |
| აკადემია | 21 | 12 | 3 | 6 | 53:22 | 39 |
| არმაზი | 21 | 12 | 2 | 7 | 50:33 | 38 |
| კოდაკო | 21 | 11 | 3 | 7 | 31:25 | 36 |
| შირაქი | 21 | 8 | 8 | 5 | 28:26 | 32 |
| იბერია | 21 | 9 | 1 | 11 | 28:31 | 28 |
| 35 სტუ | 21 | 7 | 7 | 7 | 38:28 | 28 |
| თორი | 21 | 8 | 2 | 11 | 18:40 | 26 |
| შევარდენი 2 | 20 | 7 | 1 | 12 | 22:42 | 22 |
| მრეტები | 21 | 5 | 7 | 9 | 27:31 | 22 |
| ყინერი | 21 | 6 | 3 | 12 | 31:65 | 16* |
| სამგორი | 21 | 5 | 3 | 13 | 23:48 | 13* |
| დურუჯი | 21 | 3 | 4 | 14 | 15:59 | 13 |
| ჭაბუკიანი | 21 | 2 | 6 | 12 | 16:34 | 12 |
| მესხეთი | 21 | 3 | 2 | 16 | 20:59 | 11 |
| ავაზა | 21 | 2 | 2 | 17 | 15:46 | 8 |

* — ყინერს და სამგორს ჩამოკლებული აქვთ 5 ქულა.

## ინგლისი

### გამოტოვებული მატჩები

**ლიდსი 0:0 საუთჰემპტონი**

**ლიდსი:** მარტინი, კელი, პალმერი, უეზეროლი, შარპი (დორიგო 41), რაში, დიონი, ბოუერი, ჰოლი, იებოა, მოლენაარი
**საუთჰემპტონი:** ტეილორი, მეჯილტონი, ევანსი, მედისონი, ჩარლტონი, ნილსონი, ოუკლი (მონკუ 82), ლე ტისიე, დრაიდენი, ლუნდეკვამი, ოსტენსტადი (ბეშემი 76)

წლევანდელ სეზონში პირველად მოხდა, „საუთჰემპტონმა" სტუმრად რომ ვერ შეაგდო, მასპინძლებმა კი ბოლო ათ შეხვედრაში მერვედ შეინახეს კარი მშრალად. მარტინის სიმარჯვე და ლე ტისიეს სიბეცე რომ არა, გოლი უეჭველად გავიდოდა. სტუმრებმა უპირატესობას სახიფათო შეტევებიც მოაყოლეს, მაგრამ ორჯერ შესანიშნავად ითამაშა მარტინმა: ჯერ ოსტენსტადის თაურისგან იხსნა კარი, მერე კი ლე ტისიეს ექვსი მეტრიდან დარტყმული აილო. მალე „ლიდსის" გოლკიპერი ევანსის დარტყმულსაც გაუმკლავდა. ტაიმის შუაგულიდან მასპინძელთა განელმა ფორვარდმა იებოამ გაილაღა და მცველებს თავგზას უბნევდა, მეკარესაც წამდაუწუმ აწუხებდა, 45-ე წუთზე კი უკვე ლე ტისიემ ვერ ივარგა მეკარესთან პირისპირ გასულმა. შესვენების შემდეგაც იგივე განმეორდა — ბურთი ცენტრშიც არ ჩერდებოდა და კარშიც არ შედიოდა.

**შეფილდი 2:1 სანდერლენდი**

**შეფილდი:** პრესმენი, ნოლანი, სტეფანოვიჩი, უოქერი, ბრისკო, უითინგემი, აზერტონი, პემბრიჯი, კარბონი (ჰამფრიზი 89), ბუთი, ჰერსტი
**სანდერლენდი:** პერესი, ჰოლი, მელვილი, ორდი, კუბიჩკი, კელი, ბრაისველი, ბოლი, გრეი (ჰოუი 81), ბრიჯიზი (სტიუარტი 77), რასელი
**გოლი:** ბოლი (28), ჰერსტი (42), სტეფანოვიჩი (63)

მოგებამ „შეფილდის" ევროთასებზე გასვლის პრეტენზია რეალური გახადა. შეფილდელები ჩემპიონატში კარგახანია არ დამარცხებულან და ეს შეხვედრაც მათთვის სასურველად დამთავრდა, თუმცა დასაწყისი სულ სხვას უქადდა მასპინძლებს. ტაიმის შუაში უოქერმა ბრიჯიზის დარტყმა კუთხურზე გადააგდო. შემდეგ რასელმა მძლავრად დაარტყა, მოგერიებულს კი ბოლმა 15 მეტრიდან კარში მიუჩინა ადგილი. 6 წუთში ჰერსტმა ხარიხას მცირედით გადააცილა, თუმცა შესვენებამდე მაინც იხეირა — პემბრიჯის კუთხურით სეზონში მეოთხედ შეაგდო. თამაშის განახლება და მასპინძელთა გაცხარება ერთი იყო და არბიტრმაც ყვითელი ბარათებით დააცხრო ჰერსტის და პემბრიჯის მოზღვავებული ვნებები. 63-ე წუთზე კი დეიან სტეფანოვიჩმა თავის ალბიონურ კარიერაში მეორე გოლი გაიტანა: პემბრიჯის დარტყმული პერესმა აილო, იუგოსლაველმა კი პენალტის ნიშნულიდან ზუსტად დაამატა.

**ვესტ ჰემი 3:2 ჩელსი**

**ვესტ ჰემი:** მიკლოშკო, ბრეიკერი, დიქსი, პოტსი, ბიშოპი (პორფირიუ 46), კიტსონი, დაუი, მონკური, ჰიუზი, ფერდინანდი (უილიამსონი 46; ლა პერლი 60), ბილიჩი
**ჩელსი:** კოლგენი, პეტრესკუ (მ. ჰიუზი 74), კლარკი, პ. ჰიუზი, უაიზი, ბარლი, მინტო, იონსენი, სინკლერი, ძოლა, ვიალი
**გოლი:** ვიალი (26), დიქსი (55 პ), კიტსონი (68, 90), მ. ჰიუზი (87)

„ჩელსიმ" პრემიერლიგის მაჩანჩალასთან დამარცხება მოახერხა. არადა, პირველ ტაიმში სტუმართა უპირატესობა აშკარა იყო. სასტარტოში დაყენებულმა ვიალიმ ძოლას პასით სეზონში მე-11-ედ შეაგდო, მაგრამ გულიტის გუნდმა მეტი ველარ გაიტანა. „შესვენებაზე ბიჭებს ვუთხარი, თუ ჩემი წასვლა გინდათ, მეორე ტაიმშიც ასევე ითამაშეთ-მეთქი" — თქვა მატჩის შემდეგ „ვესტ ჰემის" მწვრთნელმა რედნეპმა. როგორც ჩანს, მწვრთნელის სიტყვებმა იმოქმედა, რადგან შესვენების შემდეგ „ვესტ ჰემი" ძლიერად ათამაშდა. 15 წუთში მასპინძლებმა წინ გასვლაც მოახერხეს — სინკლერი პენალტით დააჯარიმეს და დიქსმა გააყაიმა, მალე კი აქამდე უნიათოდ მოთამაშე კიტსონმა დააწინაურა თავისიანები. გოლმა სტუმრები გამოაფხიზლა. „ჩელსის" შეტევებმა ბოლო წუთებზე გამოიღო შედეგი — 13 წუთით ადრე შესულმა უელსელმა მარკ ჰიუზმა მინტოს ჩაწოდებული თაურით გაგზავნა კარში. ისეთი პირი უჩანდა, შეხვედრა ფრედ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ არბიტრის მიერ წამატებული დროის ბოლო წამებზე კიტსონმა სამი ქულა მოუტანა „ვესტ ჰემს". ეს ამ გუნდის ბოლო 17 შეხვედრაში მესამე გამარჯვებაა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 29 | 16 | 9 | 4 | 57:33 | 57 |
| ლივერპული | 29 | 16 | 8 | 5 | 50:24 | 56 |
| არსენალი | 30 | 15 | 9 | 6 | 49:26 | 54 |
| ნიუკასლი | 28 | 14 | 6 | 8 | 54:35 | 48 |
| შეფილდი | 29 | 12 | 12 | 5 | 39:33 | 48 |
| ასტონ ვილა | 29 | 13 | 7 | 9 | 35:27 | 46 |
| უიმბლდონი | 27 | 12 | 8 | 7 | 39:32 | 44 |
| ჩელსი | 28 | 11 | 10 | 7 | 44:41 | 43 |
| ლიდსი | 30 | 11 | 7 | 12 | 24:31 | 40 |
| ლესტერი | 28 | 10 | 7 | 11 | 33:38 | 37 |
| ტოტენჰემი | 28 | 10 | 5 | 13 | 34:38 | 35 |
| ბლექბერნი | 28 | 7 | 12 | 9 | 29:27 | 33 |
| ევერტონი | 28 | 8 | 9 | 12 | 36:43 | 33 |
| დერბი ქაუნთი | 29 | 7 | 11 | 11 | 31:44 | 32 |
| სანდერლენდი | 30 | 8 | 8 | 14 | 26:41 | 32 |
| ქოვენთრი | 30 | 6 | 12 | 12 | 26:39 | 30 |
| ვესტ ჰემი | 28 | 7 | 7 | 14 | 27:39 | 28 |
| ნოტინგემი | 30 | 6 | 10 | 14 | 25:46 | 28 |
| საუთჰემპტონი | 28 | 6 | 8 | 14 | 37:46 | 26 |
| მიდლსბრო | 27 | 6 | 7 | 14 | 37:49 | 22 |




ვესტ ჰემი — ჩელსი. ასეც ცდილობდა ბილიჩი ვიალის შეჩერებას

## საქართველომდე გამოჯანმრთელდება

თიაქრის ოპერაცია ექვსი კვირით მოწყვეტს მოედანს ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის" თავდამსხმელს პოლ მერსონს. ყოფილ ლოთსა და ყომარბაზს, რომელიც მიმდინარე სეზონს ჩინებულად ატარებდა, ორი კვირის წინ „გუდისონ პარკზე" „ევერტონთან" მატჩი გაუცდა. ის შეხვედრა მისმა თანაგუნდელებმა 2:0 მოიგეს. სტატისტიკოსებმა დათვალეს, რომ მერსონისთვის „ევერტონთან" მატჩი პირველი იყო, თითქმის ორი წლის მანძილზე რომ გაუცდა. წინა შაბათს, „ნოტინგემ ფორესტის" წინააღმდეგ შეხვედრაში, ფეხბურთელი დაუბრუნდა მოედანს, მაგრამ ძველებურად ვერ ითამაშა. მან ორი ჩინებული მომენტი გაუშვა ხელიდან და ლონდონელთა შემადგენლობაში მესსე გოლის გატანა ვერ მოახერხა. მერსონის არყოფნა ძირითადი შემადგენლობისკენ გზას გაუხსნის „არსენალის" ახალ შენაძენს, ფრანგ ნიკოლა ანელკას, რომელიც გუშინ 18 წლის შესრულდა. ჭაბუკ ლეგიონერს გამოცდილ კოლეგასთან, ჰოლანდიელ დენის ბერხკამპთან მოუწევს წყვილში თამაში. ასეთი დუეტის შექმნაც გარემოებათა მიერაა ნაკარნახევი — „არსენალის" მეორე ფორვარდი იან რაიტი ხომ ორმატჩიან სასჯელს იხდის.

ცხადია, რომ პოლ მერსონი კლუბის გარდა ნაკრებსაც გამოაკლდება. 29 მარტს იგი მექსიკელებთან ამხანაგურ შეხვედრას გამოსტოვებს, თუმცა ერთი თვის შემდეგ, საქართველოს ნაკრებთან სათამაშოდ, როგორც ჩანს, მზად იქნება.

## ესპანეთი

### თასის მეოთხედფინალების განმეორებითი მატჩები

**ბარსელონა 5:4 ატლეტიკო**
(პირველი მატჩი 2:2)

**ვალეკანო 1:0 ბეტისი (0:4)**

**სელტა 1:0 რასინგი (2:1)**

**ლას პალმასი 0:0 ესპანიოლი (1:1)**

მეოთხედფინალებში უდიდეს ინტერესს იწვევდა „ნოუ კამპზე" გასამართი მატჩი, რომლის ჩატარებაც სათუო იყო. ჩემპიონატის ბოლო ტურში „ბეტისმა" 3:2 მოუგო „ატლეტიკოს". მადრიდელთა სამი არგენტინელი მატჩში მომხდარი ინციდენტების გამო დაისაჯა — ესპანეთის ფეხბურთის მამებმა ხუან ესნაიდერსა და დიეგო სიმეონეს ორი, ხოლო დელფი ხელის ერთთამაშიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდეს. ფედერაციის საქციელმა ალაშფოთა „ატლეტიკოს" ჭირვეული პრეზიდენტი ხესუს ხილი ხილი, რომელმაც თავისი უკმაყოფილება იმით გამოხატა, რომ მეოთხედფინალის განმეორებით მატჩს პროტესტი განუცხადა, თუმცა, მოგვიანებით, საბედნიეროდ, აზრი იცვალა. საბედნიეროდ იმიტომ, რომ შეხვედრა საუცხოო გამოდგა. 31-ე წუთისთვის სტუმართა იუგოსლაველი ფორვარდის მილინკო პანტიჩის ანგარიშზე უკვე ჰეთ-თრიქი იყო: მე-9 წუთზე პანტიჩმა ვიტორ ბაიას უხეიროდ მოგერიებულს დაამატა და ანგარიში გახსნა. 28-ზე მეორეც შეაგდო, სამ წუთში კი ანგარიში გამანადგურებელი გახადა. ვინ იფიქრებდა, რომ „ბარსა" მატჩის ბედს შემოატრიალებდა, მაგრამ ამ გუნდს ხომ რონალდო ჰყავს. მისი გაჩერება ვერა და ვერ მოხერხდა: 47-ე წუთზე ბრაზილიელმა პირველი გაიტანა, სამ წუთში მეორეც დაამატა. აქ რამდენიმე წამში პანტიჩმა ვიტორ ბაიას მეოთხედ გამოატანინა ბურთი კარიდან. „ბარსელონა" მაინც არ შედრკა. 65-ე წუთზე ლუიშ ფიგუმ ულამაზესი გოლი გაიტანა, ცოტა ხანში რონალდომ გააყაიმა და ჰეთ-თრიქი შეასრულა, მატჩის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე კი პიციმ თითქმის დაუჯერებელი გამარჯვება მოუტანა მასპინძლებს.

## გერმანია

### XXII ტურის მატჩები

**დორტმუნდი 3:0 ჰანზა**
1:0 რიდლე (60), 2:0 შაპუიზა (68), 3:0 რიდლე (74)

**ფორტუნა 2:1 ფრაიბურგი**
1:0 იონგა-მუანი (40), 2:0 იონგა-მუანი (62), 2:1 რეთი (90 პ)

**მიუნხენი 3:0 ლევერკუზენი**
1:0 ჩერნი (22), 2:0, 3:0 ვინკლერი (42, 53)

**არმინია 2:0 ბაიერნი**
1:0 კუნცი (10), 2:0 კუნცი (29)

„ბორუსიამ" შანსი არ დაუტოვა ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „ჰანზას". ჩემპიონის კონკურენტმა „ბაიერნმა" კი თავს ლაფი დაისხა: გუნდმა ერთ კვირაში მეორედ წააგო — წინა ტურში მიუნხენელები ლევერკუზენის „ბაიერმა" 5:2 გაანადგურა. ბილეფელდის მატჩის შემდეგ კრისტიან ციგე რომელიც იტალიურ „მილანს" სურს, გულდაწყვეტილი იყო. „თავს ლაფი დაგვესხა. ყველა გულშემატკივრის წინაშე ბოდიშს ვიხდი. სიტუაცია დამაფიქრებელია. დროა, ხელები დავიკაპიწოთ და საერთო საქმე ყველამ ერთად ვაკეთოთ" — დაიჩივლა ციგემ. „ბაიერნის" პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი უფრო კრიტიკული იყო: „ეს ყოვლად აღმაშფოთებელია. უკვე ორი მატჩია, რაც გუნდი ფეხბურთის გარდა ყველაფერს თამაშობს. თუ ახლავე არ მივხედეთ საქმეს, უეფას თასზე გასვლაც სანატრელი გაგვიხდება". მომავალ ტურში „ბაიერნი" „შალკე-04"-ს მასპინძლობს და შელახული რეპუტაციის აღდგენას შეეცდება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 22 | 14 | 4 | 4 | 48:23 | 46 |
| ბაიერნი | 22 | 12 | 7 | 3 | 38:24 | 43 |
| შტუტგარტი | 22 | 12 | 5 | 5 | 51:24 | 41 |
| ლევერკუზენი | 22 | 12 | 5 | 5 | 45:30 | 41 |
| შალკე 04 | 22 | 10 | 6 | 6 | 31:26 | 36 |
| კარლსრუე | 22 | 9 | 6 | 7 | 38:28 | 33 |
| კიოლნი | 22 | 10 | 3 | 9 | 37:37 | 33 |
| ვერდერი | 22 | 9 | 5 | 8 | 36:35 | 32 |
| ბოხუმი | 21 | 8 | 8 | 5 | 29:29 | 32 |
| მიუნხენ 1860 | 22 | 8 | 6 | 8 | 37:38 | 30 |
| არმინია | 22 | 8 | 5 | 9 | 28:33 | 29 |
| ჰამბურგი | 22 | 7 | 6 | 9 | 32:35 | 27 |
| ფორტუნა | 22 | 7 | 4 | 11 | 18:32 | 25 |
| დუისბურგი | 22 | 6 | 6 | 10 | 20:33 | 24 |
| გლადბახი | 22 | 6 | 5 | 11 | 20:27 | 23 |
| ზანქტ პაული | 21 | 5 | 4 | 12 | 26:41 | 19 |
| ჰანზა | 22 | 4 | 6 | 12 | 21:32 | 18 |
| ფრაიბურგი | 22 | 4 | 1 | 17 | 22:50 | 13 |

# ევროპული სამზადისი

ევროპული ნაკრებები, როგორც კი დროს იხელთებენ, საკონტროლო მატჩებს თამაშობენ. შვედებმა ისრაელის გუნდს უმასპინძლეს და ანდრეას ანდერსონის მიერ 68-ე წუთზე გატანილი გოლით გაიმარჯვეს 1:0. ანდერსონმა მარჯვენა ფრთაზე ორი მცველი მოიცილა და სტუმართა მეკარის რაფი კოენისთვის მიუწვდომელი დაარტყა.

პირველი ტაიმი ებრაელებმა უკეთ ჩაატარეს. მათ გოლის გატანის სამი შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან. მეორე ნახევარში კი მასპინძლებმა ივარგეს, სპარინგ-პარტნიორთა დაცვაში დერეფანს მიაგნეს და ამით ისარგებლეს კიდეც.

— პირველ ნახევარში მოწინააღმდეგეს დიდი სივრცე დავუთმეთ. არაორგანიზებულნი ვიყავით და რიტმს ვერ ვპოულობდით, მაგრამ მეორე ტაიმში დავმშვიდდით. მივაგენით იმ მეთოდს, რომლითაც ისრაელის გუნდს თამაშის განვითარებაში შევუშლიდით ხელს. ეს შეხვედრა ჩვენთვის კარგი გამოცდა გამოდგა — თქვა მატჩის შემდეგ შვედთა თავკაცმა ტომი სვენსონმა. ებრაელთა თავკაცმა შლომო შარფმა კი განაცხადა: მეტოქის კარის წინ ბავშვებივით ვიბნეოდით, საკუთარ ძალთა რწმენა და გამარჯვების წყურვილი გვაკლდა.

ამ კვირაში სხვა ამხანაგური შეხვედრებიც გაიმართა: ბულგარეთმა სლოვაკეთთან 0:1 წააგო, იუგოსლავიამ და რუსეთმა ერთმანეთს გოლი ვერ გაუტანეს, ჩვენმა მომავალმა მეტოქემ, პოლონეთმა კი, როგორც წინა „სარბიელში" გაუწყეთ, ჩეხეთში 1:2 წააგო.

სამზადისი ცხადია მხოლოდ ამხანაგური მატჩების ჩატარებას არ მოიცავს. უელსელთა მწვრთნელმა ბობი გოლდმა, მაგალითად, უკვე დაასახელა იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებიც 29 მარტისთვის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ბელგიელებთან სათამაშოდ უნდა მოემზადონ. აღსანიშნავია, რომ გოლდის სიაში კვლავ გამოჩნდა ვეტერანი გოლკიპერი ნევილ საუთჰოლი, რომელსაც თითქოსდა სანაკრებო საქმიანობისთვის თავი ჰქონდა დანებებული. იმავე სიაშია „მანჩესტერ იუნაიტედის" რაიან გიგზი, რომელიც წინაზე არ იყო. შეუძლებელია ჩაიკითხო უელსის ნაკრების ფეხბურთელთა ჩამონათვალი და არ შენიშნო, რომ ჩამოწერილთა შორის ისევ არაა ყოფილი ლივერპულელი, ახლა „ლიდს იუნაიტედის" მოთამაშე იან რაში. მწვრთნელმა რაში კვლავ არ გამოიძახა. სამაგიეროდ [illegible] ბით კვლავ [illegible], ეს არ ნიშნავს, რომ [illegible].

უელსელთა სია ასეთია: ნევილ საუთჰოლი (ევერტონი), მარკ კროსლი (ნოტინგემ ფორესტი), ენდი მერიოტი (რექსჰემი), პოლ ჯონსი (სტოკპორტი), სტივ ჯენკინსი (ჰადერსფილდი), მარკ ბოუენი (ვესტ ჰემი), რობი პეიჯი (უოტფორდი), კარლ რიდი (ქუინზ პარკი), კიტ საიმონსი (მანჩესტერ სიტი), ბერი ჰორნი (ბირმინგემი), ვინი ჯოუნზი (უიმბლდონი), ადრიან ვილიამსი (ვულვერჰემპტონი), მარკ პემბრიჯი (შეფილდ უენსდეი), ჯონ რობინსონი (ჩარლტონი), რობი სევეჯი (კრუ), კერი ჰიუზი (ლუტონი), გერი სპიდი (ევერტონი), რაიან გიგზი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჯონ ჰარტსონი (ვესტ ჰემი), ნათან ბლეიკი (ბოლტონი), ენდი ლეგი (ბირმინგემი), მარკ ჰიუზი (ჩელსი), დინ სონდერსი (ნოტინგემ ფორესტი), გარეთ ტეილორი (შეფილდ იუნაიტედი), ალან ნელსონი (საუთჰემპტონი), კლეიტონ ბლექმორი (მიდლსბრო), დევიდ ფილიპსი (ნოტინგემ ფორესტი), ივან რობერტსი (ვულვერჰემპტონი).

იმავე დღეს, 29 მარტს, დანიასთან ითამაშებს ხორვატიის ნაკრები, 2 აპრილს კი სლოვენებს შეხვდება. ხორვატთა შემადგენლობა ასეთია: დრაჟენ ლადიჩი (ზაგრები), ტონი გაბრიჩი (ჰაიდუკი), მარიჯან მრმიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი); იგორ შტიმაცი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), ნიკოლა იერკანი (ნოტინგემ ფორესტი, ინგლისი), სლავენ ბილიჩი (ვესტ ჰემი, ინგლისი), რობერტ იარნი (ბეტისი, ესპანეთი), დარიო სიმიჩი (ზაგრები), ზვონიმირ სოლდო (შტუტგარტი, გერმანია), ზორან მამიჩი (ბოხუმი, გერმანია), გორან ჯურიჩი (ზაგრები) ან ნიკო სეკო (ჰაიდუკი); დუბრავკო პავლიჩიჩი (ერკულესი, ესპანეთი), ალიოშა ასანოვიჩი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), რობერტ პროსინეჩკი (სევილია, ესპანეთი), ზვონიმირ ბობანი (მილანი, იტალია), ნენად პრალია (ესპანიოლი, ესპანეთი), ნიკო კოვაჩი (ბაიერნი, გერმანია); მარიო სტანიჩი (პარმა, იტალია), დავორ შუკერი (რეალი, ესპანეთი), გორან ვლაოვიჩი (ვალენსია, ესპანეთი), ალენ ბოკშიჩი (იუვენტუსი, იტალია), რობერტ სეფარი (ბრიუგე, ბელგია), იგორ კვიტანოვიჩი (ზაგრები).

**გიგა ძოძახიძე**

## ლიბერტადორესის თასზე

სამხრეთ ამერიკაში გრძელდება ლიბერტადორესის თასის გათამაშება. ოთხშაბათს მორიგი, IV ტური გაიმართა.

### პირველი ჯგუფი

ბოლივარი (ბოლივია) — ორიენტე პეტროლერო (ბოლივია) 3:3, გუარანი (პარაგვაი) — კერო პორტენო (პარაგვაი) 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლივარი | 4 | 3 | 1 | 0 | 14:5 | 10 |
| ორიენტე | 4 | 2 | 1 | 1 | 8:8 | 7 |
| გუარანი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:10 | 4 |
| პერო პორტენო | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | 1 |

### მეორე ჯგუფი

ნასიონალი (ეკვადორი) — ემელეკი (ეკვადორი) 1:0,ველეზ სარსფილდი (არგენტინა) — რასინგი (არგენტინა) 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნასიონალი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 9 |
| ველეზი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| ემელეკი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| რასინგი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | 1 |

### მესამე ჯგუფი

კოლო-კოლო (ჩილე) — უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე) 2:0, მინერვენი (ვენესუელა) — მინეროსი (ვენესუელა) 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლო-კოლო | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| უნივერსიდადი | 4 | 2 | 1 | 1 | 14:4 | 7 |
| მინერვენი | 4 | 1 | 1 | 2 | 1:7 | 4 |
| მინეროსი | 4 | 0 | 1 | 3 | 0:8 | 1 |

### მეოთხე ჯგუფი

სპორტინგ კრისტალი (პერუ) — ალიანსა (პერუ) 1:1, გრემიო (ბრაზილია) — კრუიზეირო (ბრაზილია) 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 4 | 2 | 2 | 0 | 3:1 | 8 |
| გრემიო | 4 | 2 | 0 | 2 | 6:3 | 6 |
| ალიანსა | 4 | 1 | 2 | 1 | 2:5 | 5 |
| კრუზეირო | 4 | 1 | 0 | 3 | 2:4 | 3 |

### მეხუთე ჯგუფი

დეპორტივო კალი (კოლუმბია) — პენიაროლი (ურუგვაი) 2:0, მათ გარდა ჯგუფში არიან კოლუმბიის „მილიონარიოსი" და ურუგვაის "ნასიონალი".

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პენიაროლი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| მილიონარიოსი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| დეპორტივო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ნასიონალი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |

თითოეული ჯგუფის პირველი სამეული შეჯიბრების შემდეგ ეტაპზე გადის.

## შოტლანდია

გამოტოვებული მატჩები: ჰიბერნიანი — დანფერმლაინი 1:0, კილმარნოკი — სელტიკი 2:0, რეინჯერსი — დანდი იუნაიტედი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 29 | 21 | 5 | 3 | 71:26 | 68 |
| სელტიკი | 29 | 20 | 3 | 6 | 66:27 | 63 |
| დანდი იუნ. | 29 | 15 | 7 | 7 | 41:24 | 52 |
| ჰართსი | 29 | 11 | 8 | 10 | 40:39 | 41 |
| აბერდინი | 29 | 9 | 10 | 10 | 40:48 | 37 |
| დანფერმლაინი | 29 | 10 | 5 | 14 | 42:53 | 35 |
| მოზერველი | 29 | 7 | 8 | 14 | 33:50 | 29 |
| ჰიბერნიანი | 29 | 7 | 8 | 14 | 29:47 | 29 |
| კილმარნოკი | 29 | 8 | 4 | 17 | 34:54 | 28 |
| რეით როვერსი | 29 | 5 | 6 | 18 | 25:55 | 21 |


**იყიდება**

რუსული ყოველკვირეული
„ფუტბოლი"
ყველა ნომერი — პირველიდან ბოლოს ჩათვლით.
ფასი შეთანხმებით
დარეკეთ: 22-58-43
იკითხეთ მამუკა

**გინდათ, სამ თვეში უცხო ენას დაეუფლოთ?**

ERC

მოაკითხეთ „ელიტა — სკ"-ს თქვენ აქ შეგიძლიათ ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული და ქართული (უცხოელთათვის) ენების სწავლა. ჯგუფებში 5-5 სტუდენტია და მეცადინეობები ყოველდღე ტარდება, შაბათ-კვირის გარდა სტუდენტისათვის სასურველ ადგილზე და მისაღებ დროში.
გინდათ ერთ თვეში პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობა ისწავლოთ? მოაკითხეთ „ელიტა — სკ"-ს.
„ელიტა — სკ"-ში შეიძენთ ლიტერატურას, კომპაქტ-დისკებს, ვიდეო თუ აუდიო კასეტებს, რომლებიც ენის შესწავლაში დაგეხმარებიან.
მოაკითხეთ „ელიტა სკ"-ს ოფისს მეტრო დელისთან, ვაჟა-ფშაველას 44-ში, ან დარეკეთ 39-87-25

**ბრაზილიაში** „ვასკუ და გამასა" და „იტაპერუნას" შეხვედრაში მსაჯმა „ვასკუს" გადამწყვეტი გოლი ჩაუთვალა, მეტოქეს კი ეს არ მოეწონა. შემდეგ „იტაპერუნას" სამი ფეხბურთელი გააძევეს მოედნიდან. საქმე ასე იყო: ედმუნდოს გოლი „იტაპერუნას" ფეხბურთელების აზრით ოფსაიდიდან გავიდა. მათ დიდი პროტესტი გამოხატეს, შემდეგ კი გალიზიანებულებმა უხეში თამაში გააჩაღეს. მსაჯმა არც აცია, არც აცხელა და წითელი ბარათი დაატრიალა. მესამე გაძევების შემდეგ დაჩაგრულთა მწვრთნელი პაულუ მატა მოედანზე გავარდა და ხალათი გაიხადა. მას პოლიციელები გამოუდგნენ, მაგრამ გაავებულმა მატამ დრო იხელთა და რომ შენიშნა ტელეკამერისკენ ზურგით იდგა, შარვალი ჩაიხადა. ასე იხილა დამსწრე საზოგადოებამ და ტელეაუდიტორიამ მწვრთნელის უკანალი. წესრიგის მცველებმა მას შარვლის ჩაცმა აიძულეს. მოგვიანებით მატამ ინტერვიუში განაცხადა, გაშიშვლება პროტესტი გახლდათ, ფეხბურთი რიო დე ჟანეიროში ხომ კვლავ უსინდისოდ ტარდება, გავწამდი, მთელი ცხოვრება პატიოსან შრომაში გავატარე და პასუხად კარგი არაფერი მიმიღიაო.

**ესპანეთში** ბარსელონას „ესპანიოლმა" მოხსნა მწვრთნელი ვისენტე მიერა. მიერა ორშაბათს, ქვეყნის თასის მეოთხედფინალში „ლას პალმასთან" წაგებისთვის გაანთავისუფლეს თანამდებობიდან. ახალი თავკაცი ხელად მოიძებნა. იგია პაკო ფლორესი, რომელიც აქამდე „ესპანიოლშივე" მეორე მწვრთნელად მუშაობდა.

**საფრანგეთში** ლანსის სტადიონი „ფელიქს ბოლარე" ერთი თამაშით დისკვალიფიცირებულია და ამიტომ 22 მარტის მატჩი ლანსი — ოსერი ჰავრში გადაიტანეს. „ბოლარეს" დასჯის მიზეზი გახლავთ ის, რომ „პარი სენ ჟერმენთან" შეხვედრის დროს ვიღაც გულშემატკივარმა ტრიბუნიდან ნასროლი ბოთლით თანამსაჯი დააშავა. ცოტა გაუგებარია, მაგრამ ფაქტია, რომ იმ ხულიგანს ერთი წლით სრულიად ფეხბურთიდან გაძევება დაუდგინეს. კიდევ, სარემონტო სამუშაოებიდან ჩამორჩენის მიზეზით „ბოლარე" ველარც ივნისში, საფრანგეთში დაგეგმილი ოთხთა ტურნირის მასპინძელი გახდება. არადა აქ 10 ივნისს ბრაზილია — ინგლისი უნდა გამართულიყო.

**იტალიის** ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერი ფილიპო ინძაგი წინა კვირას „სამპდორიასთან" შესრულებული ჰეთ-ტრიქის შემდეგ საყოველთაო აღტაცების საგანი გახდა. ინძაგი, მოგეხსენებათ, ბერგამოს „ატალანტაში" თამაშობს, მაგრამ სანახევროდ „პარმასია", სადაც გასულ სეზონში გამოდიოდა. ახლა „პარმას" 6,2 მილიონი დოლარი გამოუყვია ფეხბურთელის მთლიანად და უპირობოდ გამოსასყიდად. იმავდროულად დაირხა ხმა, რომ ინძაგი „მანჩესტერ იუნაიტედს" ჩავარდნია გულში. ყოველივე ამასთან დაკავშირებით, თავად თავდამსხმელი აცხადებს, რომ ივნისამდე ყურად არ იღებს ნაირგვარ წინადადებებს, რადგან იგი „ატალანტას" უეფას თასზე გაყვანითაა დაკავებული, მერე კი ბერგამოელთა მწვრთნელს ემილიო მონდონიკოს დაეკითხება ჰკუას. ცხადია, 23 წლის ინძაგის ნაკრებში წაყვანაზეც ალაპარაკდნენ. „სკუადრა აძურას" თავკაცი ჩეზარე მალდინი „ატალანტა" — „სამპდორიას" ჰეთ-ტრიქიან შეხვედრას დაესწრო კიდეც. მოთამაშემ ნაკრებში მის სავარაუდო მიწვევას ასეთი კომენტარი გაუკეთა: „კმაყოფილი ვარ, მალდინი ჩვენს თამაშს რომ დაესწრო, მაგრამ ამის აუცილებლობა მაინცდამაინც დიდი არ იყო. ჩვენ 21 წლამდე ნაკრებში ოთხი წელი ვიმუშავეთ ერთად და შემიძლია ვთქვა, რომ მალდინისავით ორიოდ ადამიანი თუ მიცნობს. ასე რომ, მან საუკეთესოდ იცის, როდის უნდა მიმიწვიოს ეროვნულ გუნდში."

**საფრანგეთის** პირველობის ლიდერმა „მონაკომ" ხუთშაბათს 3:0 სძლია „რენს". ორი გოლი სალივან ლეგვინსკიმ გაიტანა, ერთი პირველი ტაიმის ბოლოს, მეორე კი შესვენების შემდეგ. მესამე ყოფილმა სელტიკელმა ჯონ კოლინზმა დაამატა. ლეგვინსკის 37-ე წუთზე მარტინ დიეტომ გაუწია ასისტენტობა — მის ჩაწოდებულს მეტოქის იუგოსლაველი მეკარე გორან პანდუროვიჩი ვერ შეწვდა. შემდეგ, 46-ზე, ალი ბენარიბამ ბრაზილიელ სონი ანდერსონს მიაწოდა კარგად, ანდერსონმა პანდუროვიჩი შეავიწროვა და ლეგვინსკის მეორე, იოლი გოლი შეაგდებინა. 60-ზე ანდერსონისავე პასით კოლინზმა მიაღწია მიზანს.

**ზიმბაბვეს** ნაკრები კვირას ქესთლის თასზე ნამიბიას ხვდება. ამ მატჩში ზიმბაბველებს არ ეყოლებათ ცნობილი მეკარე ბრიუს გრობელაარი. სამხრეთ აფრიკის ლუდის კომპანია, რომელიც რეგიონის ყველაზე ფულიან შეჯიბრებას 500 ათასი დოლარით ავსებს, მზად იყო გრობელაარის ინგლისიდან ჩასაყვანად დამატებით ხარჯს დაყაბულებულიყო, მაგრამ ზიმბაბვური ფეხბურთის შეფებმა უარი განაცხადეს, რადგან არ სურთ ამოწურონ შვიდმატჩიანი ლიმიტი, ნაკრებებს კლუბებიდან ფეხბურთელების გამოსაძახებლად რომ აქვთ.

**იტალიაში,** კერძოდ პიაჩენცაში, 14-15 წლის ბავშვების პირველობის მატჩის დროს, ერთმანეთს „კასეი ჯეროლა" და „ბორგინოვო ვალ ტიდონე" რომ ეთამაშებოდნენ, თამაშის დაწყებიდან 17 წუთის შემდეგ ერთ-ერთი ფეხბურთელის მამა მოედანზე გადახტა და მსაჯს გამოუდგა. თურმე ბორგონოვოელი ბიჭუნას მშობელს მისი შვილის გუნდის კარში გოლის ჩათვლა უსამართლობად მიუჩნევია.

**ინგლისელი** კრის უოდლი, ჩვენში ხანდახან ინგლისის ნაკრების მწვრთნელ გლენ ჰოდლში რომ ერევათ (ორივე ერთდროულად თამაშობდა, ორივე ფრანგულ კლუბში იყო, ოღონდ უოდლი „მარსელში", ჰოდლი კი „მონაკოში"), ახლა 36 წლისაა და პირველი დივიზიონის „ბრედფორდში" თამაშობს. ამასწინათ მას პრემიერლიგის „ნოტინგემ ფორესტი" დაუკავშირდა, ჩვენთან გადმოდიო. უოდლმა თანხმობა უთხრა, მაგრამ „ბრედფორდმა" ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — ჩვენს ფეხბურთელს, თუნდაც თავისუფალი აგენტის სტატუსით მიღებულს, ჩვენგან მალულად დაუკავშირდნენ, ეს კი უწესობააო. მოგახსენებთ, „ფორესტმა" ამასწინათ გლაზგოს „სელტიკიდან" ჰოლანდიელი პიერ ვან ჰუიდონკი იყიდა, ამ დღეებში კი ინგლისის 21 წლამდე ნაკრების მოთამაშეს იან მურს შეუთანხმდა პირველი დივიზიონის „ტრანმერიდან" გადასვლაზე. ზედალოგელებმა მურში მილიონ 600 ათასი დოლარი გადაიხადეს. „ნოტინგემის" ახალ მწვრთნელს დეივ ბესეტს ფორვარდისთვის რახანია დაუდგია თვალი. მური პირველ შეხვედრას დღეს ითამაშებს „ლივერპულის" წინააღმდეგ.

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისის** პირველი დივიზიონის გუნდმა, გიო ქინქლაძისა და მიშა ყაველაშვილის „მანჩესტერ სიტიმ" გადაიბირა 23 წლის ჰოლანდიელი ჟერარ ვიკენსი, რომელიც „ვეენდჰემში" თამაშობს. „ვეენდჰემი" ნიჭიერ ფეხბურთელად ცნობილ ვიკენსს „მანჩესტერში" ივნისში გაუშვებს, მანამდე კი ფლეი-ოფში გასული, უძლიერესი შემადგენლობით შეეცდება ჰოლანდიის უმაღლეს ლიგაში გადასვლას. ვიკენსი, რომელიც სამშობლოში საუკეთესო მეორელიგელად აღიარეს, „სიტის" მწვრთნელ ფრანკ კლარკს მეტად ჩავარდნია გულში. კლარკმა თქვა: „მას ამოუწურავი პოტენციალი აქვს. ჰოლანდიაში ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელია. მართალია, ეროვნულ ნაკრებში ჯერ არ უთამაშია, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, მალე მიაღწევს ამას. ვიკენსი სწრაფია, საუცხოო პასი აქვს და ბრძოლაშიც ძლიერია."

**ალბანეთის** ეროვნული გუნდი თავის ორ უახლოეს მატჩს უკრაინასა და გერმანიასთან ესპანეთში, გრანადაში ჩაატარებს. ალბანეთის ფეხბურთის ასოციაციის მდივანმა ედუარდ დერვიშიმ განაცხადა, რომ ქვეყანაში მიმდინარე არეულობის მიუხედავად, ნაკრები ფეხბურთის თამაშს არ შეწყვეტს. მომავალ შეხვედრებს დერვიშიმ „ბნელში სინათლე" უწოდა. 29 მარტს ალბანელები უკრაინას „მასპინძლობენ", 2 აპრილს — გერმანიას.

**იტალიის** ნაკრებისა და „მილანის" ვარსკვლავმა პაოლო მალდინიმ უარჰყო ხმები, თითქოს ლონდონის „ჩელსი", რომელსაც ყოფილი მილანელი რუუდ გულიტი წვრთნის და რომელშიც მალდინის სამი თანამემამულე ჯანფრანკო ძოლა, რობერტო დი მატეო და ჯანლუკა ვიალი თამაშობს, მის გადაბირებას ცდილობდა. მალდინიმ განაცხადა, რომ მართალია, გულიტი და „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ხშირად საუბრობენ ტელეფონით, ოფიციალური შეთავაზება ლონდონში გადასვლაზე მას არ მიუღია. „ჩემი კონტრაქტი „მილანთან" 2001 წლამდეა და სხვაგან გადასვლას არ ვაპირებ" — განაცხადა მალდინიმ.

**ესპანეთის** „სევილია" ყოველმხრივ შავ დღეშია. ცალკე სპორტული შედეგი აქვს საშინელი, ცალკე კი ფინანსურად უჭირს. ახლა „სევილია" იტალიურ „რომას" ეხვეწება, ჩემგან არგენტინელი ნახევარმცველი მატიას ალმეიდა იყიდეო. ალმეიდაში „სევილიამ" სეზონის დასაწყისში 10 მილიონი დოლარი გადაიხადა. „რომა" ფეხბურთელში 6 მილიონს იხდის, მაგრამ ესპანელები ვაჭრობენ, ერთი მილიონიც დაამატეთო.

**იუგოსლაველი** მცველი სინიშა მიხაილოვიჩი იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში გააძევეს. მისმა „სამპდორიამ" 4:0 წააგო „ატალანტასთან", სინიშამ კი ნერვები ვერ მოთოკა და მიაბრძანეს კიდეც მოედნიდან. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ მცველი ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დააჯარიმა, რამაც კლუბის მწვრთნელის სვენ-გორან ერიქსონის უკმაყოფილება გამოიწვია. „სამპდორიას" გენერალურმა მდივანმა ემილიანო სალვარეზამ კი ამის გამო ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტს სასჯელი გამოსტყუა. საქმე ის გახლავთ, რომ სალვარეზამ მიხაილოვიჩისთვის ოთხთამაშიანი დისკვალიფიკაციის მისჯას სამარცხვინო უწოდა. ამავე კომიტეტმა ორთამაშიანი აკრძალვა დაუდგინა იუვენტუსელ ხორვატ ალენ ბოკშიჩს, რომელმაც კვირას „ინტერის" მასიმო პაგანინთან ბრძოლაში იუხეშა და წითელი ბარათი მიიღო.

**ინგლისის** ნაკრების ფორვარდი ლეს ფერდინანდი ტრავმის გამო გამოტოვებს უეფას თასის მეოთხედფინალის განმეორებით მატჩს „მონაკოსთან". ბოლო ტურში, ლივერპულში „ნიუკასლის" მიერ 3:2 წაგებულ შეხვედრაში, ფერდინანდი შეცვლაზე შევიდა, მაგრამ მხოლოდ ათი წუთი ითამაშა და გამოცვალეს.


# ბავშვთა კვება

## Gerber

ახალი სიცოცხლის
უმშვენიერესი დასაწყისი
ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული
ლიდერის გერბერის პატარა ქილებში
თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობაა
☎ 39-47-83




**ჰოლანდიელი** მარკო ვან ბასტენი, ევროპის სამგზის საუკეთესო მოთამაშე, მისი ყოფილი ხელმძღვანელის არიგო საკის აზრით, დიდი მწვრთნელი შეიძლება გახდეს. ვან ბასტენი თანამემამულე რუუდ გულიტთან და ფრანკ რაიკაარდთან ერთად „მილანში" ოთხმოციანი წლების მიწურულს ბრწყინავდა, ამ დღეებში კი გუნდს მილანელოს საწვრთნელ ბაზაზე მიაკითხა. საუზმისა და ძველი მეგობრების მიკითხვა-მოკითხვის შემდეგ ვან ბასტენმა უკომენტაროდ დასტოვა ბაზა, ამიტომაც ჟურნალისტებმა საკის მიაკითხეს. „გული დამეწვა, როდესაც დავინახე, როგორ თამაშობდა თავისთვის, როგორ აღგამდა დაშავებულ კოჭებს. ვან ბასტენი საგანგებო გონიერების მქონე ფეხბურთელი იყო. საქმეს ხელი რომ მოჰკიდოს, ორ წელიწადში დიდი მწვრთნელი დადგება. იგი ვალდებულია ასე მოიქცეს. ყოველთვის ვწინასწარმეტყველებდი, რომ ჩემს ფეხბურთელთაგან ოთხი კარიერას სამწვრთნელო სკამზე გააგრძელებდა. ვგულისხმობდი ვან ბასტენს, გულიტს, კარლო ანჩელოტის და მაურო ტასოტის. დრო ამტკიცებს, რომ მართალს ვამბობდი" — თქვა საკიმ. მისი ოთხეულიდან ორი უკვე გუნდს ხელმძღვანელობს, გულიტი „ჩელსის", ანჩელოტი კი „პარმას". აწი ჯერი ვან ბასტენსა და ტასოტიზეა.

**აშშ-ს** ნაკრების მეკარემ კეისი კელერმა, ვინაც პრემიერლიგის კლუბ „ლესტერის" ღირსებას იცავს, განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს ინგლისის ლიგის თასი მოიგოს. სწორედ კელერის ბრწყინვალე თამაშმა მოუტანა „ლესტერს" ლიგის თასის ფინალის საგზური. 1964 წლის მერე კლუბს ალბიონზე არცერთი ტურნირი არ მოუგია, წელს კი „მიდლსბროს" დამარცხებით კლუბი დანავსული პერიოდის შეწყვეტას შეეცდება.

**საფრანგეთის** ახალგაზრდულმა გუნდმა 1:0 დაამარცხა შვეიცარიის თანატოლთა კლუბი ევროპის ახალგაზრდული პირველობის შესარჩევ მატჩში. გოლი 68-ე წუთზე ტიერი ანრიმ გაიტანა. ახლა ფრანგებს სამი თამაშიდან 7 ქულა აქვთ და ჯგუფის ლიდერ ნორვეგიას მხოლოდ ბურთების შეფარდებით ჩამორჩებიან.

**იტალიის** „ინტერის" მწვრთნელად მომავალ სეზონში „ნაპოლის" თავკაცი ლუიჯი სიმონი იმუშავებს ინგლისელი მწვრთნელის როი ჰოჯსონის ნაცვლად, რომელიც სეზონის ბოლოს დატოვებს მილანურ კლუბს. „გაძეტა დელო სპორტის" თქმით, სიმონმა უკვე მოაწერა ხელი 800 ათასიან კონტრაქტს. დაირხა ხმები, რომ ჰოჯსონი მომავალ წელს „ბლექბერნში" გაატარებს.

**კოსტა-რიკას** მსოფლიოს შესარჩევი ტურნირის მეტად მნიშვნელოვანი მატჩები ელის მექსიკასთან და აშშ-სთან, ამიტომ ეროვნული გუნდის არგენტინელმა მწვრთნელმა ორასიო კორდერომ სრული მზადყოფნის მიზნით ნაკრების 19 წევრს მეუღლეებთან ყველანაირი კავშირის გაწყვეტა უბრძანა, რამაც ფეხბურთელები ძლიერ აღაშფოთა. გუნდის წევრმა ოსკარ რამირესმა, ვისაც იტალიის მსოფლიო პირველობაც უთამაშია, ამ გადაწყვეტილებას უაზრო და არაფრისმომტანი უწოდა. კოსტა-რიკა კვირას მექსიკას შეხვდება, მოგვიანებით კი აშშ-ს.

**ჰოლანდიაში** გამართული ქვეყნის თასის მეოთხედფინალების მატჩები ასე დასრულდა: „აზ-67" — „ვილემ II" 0:2, „ჰელმონდ სპორტი" (მეორე დივიზიონი) — „ვიტესი" 2:1, „ჰერენვენი" — „ფეიენოორდი" 2:1, „ცვოლე" (მეორე დივიზიონი) — „როდა" 0:5.

**ინგლისის** ლიგის თასის ნახევარფინალში „მიდლსბრო" გავიდა, მიუხედავად შინ „სტოკპორტთან" 0:1 დამარცხებისა. 121 წლის არსებობის მანძილზე კლუბი პირველად გავიდა ქვეყნის ერთ-ერთი თასის ფინალში. პირველი მატჩი რობსონის ბიჭებს 2:0 ჰქონდათ მოგებული. „მიდლსბრო" ამ საუკუნეში პირველად გავიდა ოფიციალური ტურნირის ფინალში, თუ არ ჩავთვლით ინგლისი — შოტლანდიის ნახევრადოფიციალური თასის გათამაშების მოგებას 1976 წელს. 1895 და 1898 წლებში გუნდი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მიერ დაწესებულ მოყვარულთა თასს ფლობდა.

**იტალიის** ვიცე-პრემიერმა და ქვეყნის სპორტის მინისტრმა ვალტერ ველტრონიმ „ინტერი"— „იუვენტუსის" მატჩის ფრედ 0:0 დამთავრებისთანავე საქციელი მოუწონა არბიტრ კოლინას, რომელმაც მილანელი განცის გატანილი გოლი არ ჩათვალა. „დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ კოლინა უმაღლესი კლასის არბიტრია. განცი თამაშგარეში იყო და გოლის ჩათვლა საცოდაობა იქნებოდა" — თქვა ველტრონიმ.


**იყიდება**
ირანული გაზის ბალონების
ფითილები და შუშები
საბითუმო ფასებში.
ტელ: 95-22-56 საღამოს საათებში

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**უეფას თასის მეოთხედფინალი.** საპასუხო მატჩები

18 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მონაკო — ნიუკასლი | (1,15-5,0) | 1,8 | 2,7 | 3,8 |
| ბრონდბიუ — ტენერიფე | (1,15-5,0) | 1,8 | 2,7 | 3,8 |
| ინტერი — ანდერლეხტი | (1,05-10,0) | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | | 1,6 | 3,4 | 3,0 |
| ვალენსია — შალკე | (2,4-1,45) | 1,5 | 3,1 | 5,3 |

**ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი.** საპასუხო მატჩები

19 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო — აიაქსი | (1,45-2,4) | 1,9 | 2,9 | 3,2 |
| იუვენტუსი — რუსენბორგი | (—-15,0) | 1,05 | 6,0 | 14,0 |
| 0:1 | | 1,4 | 3,4 | 4,0 |
| პორტუ — მანჩესტერ იუნაიტედი | (15,0-—) | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ოსერი — დორტმუნდი | (4,0-1,2) | 2,1 | 2,9 | 3,0 |

**თასების თასის მეოთხედფინალი.** საპასუხო მატჩები

20 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლივერპული — ბრანი | (1,05-10,0) | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | | 1,5 | 3,4 | 3,5 |
| აიკი — ბარსელონა | (15,0-—) | 3,6 | 2,8 | 1,8 |
| ფიორენტინა — ბენფიკა | (—-15,0) | 1,5 | 3,0 | 5,6 |
| აეკი — პარი სენ ჟერმენი | (1,8-1,8) | 2,2 | 2,7 | 2,8 |

## CROCO-2

### ტირაჟი №25

1. მონაკო — ნიუკასლი
2. ბრონდბიუ — ტენერიფე
3. ვალენსია — შალკე
4. ატლეტიკო — აიაქსი
5. პორტუ — მანჩესტერ იუნაიტედი
6. აიკი — ბარსელონა
7. ფიორენტინა — ბენფიკა
8. აეკი — პარი სენ ჟერმენი

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. 7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „იმერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

## საქართველოს ოლიმპიელთა საყურადღებოდ

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია გამოსაცემად ამზადებს ოლიმპიურ ენციკლოპედიას**

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების დასაზუსტებლად და ფაქტობრივი შეცდომების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს ყველა ოლიმპიელს, ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშების პრიზიორებსა და მონაწილეებს ვთხოვთ მოგვაწოდონ შემდეგი ინფორმაცია:

1. დაბადების წელი, თვე, რიცხვი, ადგილი.
2. როდის დაიწყეთ ვარჯიში სპორტში, ჩამოთვალეთ თქვენი მწვრთნელები სპორტული კარიერის მანძილზე.
3. რომელი სასწავლებელი დაამთავრეთ და როდის.
4. საუკეთესო სპორტული შედეგები: ჩამოთვალეთ შეჯიბრებები, ჩატარების წლები, თქვენს მიერ დაკავებული ადგილები.
5. ჩამოთვალეთ თქვენს მიერ დამყარებული ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის რეკორდები, მიუთითეთ დამყარების წელი და ადგილი.
6. რა სპორტულ, სამთავრობო და სხვა ჯილდოებს ფლობთ.
7. ამჟამად რას საქმიანობთ...

## სპორტულ ფედერაციათა საყურადღებოდ

ოლიმპიურ ენციკლოპედიაში შესატანი მონაცემების დასაზუსტებლად, ოლიმპიური და არაოლიმპიური სახეობების ფედერაციათა ხელმძღვანელებს ვთხოვთ მოგვაწოდონ შემდეგი ინფორმაცია:

1. ფედერაციის დაფუძნების თარიღი და ადგილი.
2. ფედერაციის სტრუქტურა.
3. როდის გაერთიანდა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციაში.
4. ფედერაციის ყოფილ და ახლანდელ ხელმძღვანელთა ვინაობა.
5. ფედერაციის ემბლემა.

**ჩვენი მისამართია: თბილისი, რუსთაველის 42, V სართული**

**ტელ: 99-08-22**

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია**

ჰოკეი

# რა ემშველება ვანკუვერს?

**NHL. რეგულარული ჩემპიონატი**

**12 მარტი.** ჰართფორდი — ბოსტონი 6:3, რეინჯერსი — ვაშინგტონი 3:2, ტორონტო — ჩიკაგო 2:3, კოლორადო — კალგარი 2:3, ფინიქსი — პიტსბურგი 5:5, ანაჰაიმი — დეტროიტი 2:1.

**13 მარტი.** ბოსტონი — მონრეალი 0:3, ნიუ ჯერსი — ჰართფორდი 6:0, ფილადელფია — ედმონტონი 5:4, ტამპა — აილენდერსი 0:3, ფლორიდა — ვანკუვერი 5:4, ლოს ანჯელესი — სენტ ლუისი 2:4.

ვანკუვერის მწვრთნელ პეტ ქუინს დიდხანს არ დაუყოვნებია და კარდინალური ცვლილებით სცადა თავისი კლუბის შველა. მან ვეტერანი ტიკანენი და კურტნოლი რეინჯერსს გაუცვალა ასევე ხანდაზმულ ნემჩინოვსა და ნუნენში. როგორც ჩანს, ქუინი არ აპირებს მოგილნის გაყიდვას — ნემჩინოვის შეძენა მან იმით ახსნა, რომ რუსი სნაიპერისთვის ღირსეული გამთამაშებლის მოძებნა სურდა. ვნახოთ, როგორ გამოიჩენს თავს ახალ კლუბში აქამდე არაფრით გამორჩეული ნემჩინოვი, რომელიც ჯერჯერობით ტრავმას იშუშებს. არც ნუნენს უჩანს ისეთი პირი, რომ ბრწყინვალედ ითამაშებს, თუმცა წინა შეხვედრაში ერთი საგოლე პასი მაინც გააკეთა. ამასობაში ვანკუვერმა, რომელსაც გასვლითი სერია დაეწყო, კვლავ წააგო. მიუხედავად ანგარიშისა, მატჩი ფლორიდასთან დაძაბული სულაც არ იყო — „პანტერები" ბოლო წუთებამდე 5:2 იგებდნენ მათი მთავარი სნაიპერების — მელანბის (24) და შეპარდის (2+0, 25) ძალისხმევით და ბოჰონოსმა ბოლოსდა გაიტანა ორი არაფრისმომტანი გოლი. ამ წაგების შემდეგ ვანკუვერი უკვე ხუთი ქულით ჩამორჩება მე-8-9 ადგილებზე მყოფ ჩიკაგოს და კალგარის. ასე რომ, გუნდს თავის დამშვიდების უფლება არა აქვს.

ჩიკაგომ და კალგარიმ ერთნაირი ანგარიშით 3:2 სძლიეს მეტოქეებს, მაგრამ კალგარელთა გამარჯვებას მეტი ფასი აქვს, მათ ხომ სტუმრად თვით კოლორადოს მოუგეს. თანაც იშვიათად გამტანმა სტერნმა, რომელიც უფრო მოჩხუბარის ფუნქციას ასრულებს, ორი შაიბა გაახერხა. ჩიკაგომ კი, მიუხედავად აუტსაიდერი ტორონტოს მონდომებისა, მაინც შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა, რაშიც მთავარი წვლილი ვეტერან სავარს (2 გოლი) მიუძღვის.

ედმონტონი და სენტ ლუისი კარგა ხანს არხეინად იყვნენ, მაგრამ შემდგომ მოიშალნენ და მდევართა სუნთქვაც იგრძნეს. ეს განსაკუთრებით „ბლუზმენებზე" ითქმის, რომლებმაც ზედიზედ ხუთჯერ წააგეს. თუმცა, ამას კალიფორნიაში მიღწეული ორი გამარჯვება მოჰყვა. თუ სან ხოსესთან მთავარმა გამთამაშებელმა ტარჯონმა (2+2) იყოჩაღა, ლოს ანჯელესში მცველმა პრონგერმა (1+1) და ჰალმა გადაწყვიტეს მატჩის ბედი.

როგორც ჩანს, ბოსტონს ველარაფერი უშველის — პირველად 30 წლის განმავლობაში კლუბი სტენლის თასის მიღმა დარჩა. თუ აქამდე „დათვების" გულშემატკივრები იმედს არ კარგავდნენ, ახლა ყველაფერი გაირკვა. მთავარი გამთამაშებლის ოუთსის გადასვლას ერთადერთი დარჩენილი ვარსკვლავის — ბურკის ტრავმაც დაემატა და ბოსტონი ველარ გაუმკლავდა თანადივიზიონელებს. განსაკუთრებით უსუსურად გამოიყურებოდნენ „დათვები" ჰართფორდთან — მხოლოდ 18 დარტყმა გააზერხეს, ჰართფორდის ფორვარდებმა კრონმა (10) და მანდერვილმა კი დუბლი გააკეთეს.

ხუთშაბათს ერთბაშად სამმა გოლკიპერმა მიითვალა „მშრალი" მატჩი. „ეშმაკი" ბროდერისთვის ეს სეზონში უკვე მეექვსე ასეთი მატჩია, ხოლო აილენდერსელი სალოსთვის — მეხუთე. ბროდო იმდენად საიმედოდ თამაშობს, რომ ლიგის გოლკიპერთა შორის ერთადერთია, ვინც მატჩში საშუალოდ ორ შაიბაზე ნაკლებს უშვებს — 1,97 (მეორეზეა ჩიკაგოელი ჰეკეტი — 2,02). სავსებით მოსალოდნელია, რომ ბროდო თავის კოლეგა ჰაშეკთან ერთად, რომელსაც უნდა უმადლოდეს ბუფალო თავის წლევანდელ წარმატებას, ნჰლ-ს ის ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშის წოდების მოპოვების მთავარი პრეტენდენტი იქნება.

ამასობაში „ეშმაკებმა" კვლავ გაგვაოცეს და გილმორის (1 პასი) გამოჯანმრთელებით ფრთაშესხმულებმა ერთბაშად 6 შაიბა შეუგდეს ჰართფორდს, თანაც კლუბის მთავარმა აგრესორმა მაკეიმ კარიერაში პირველი ჰეთ-თრიქი გააზერხა.

პიტსბურგმა ზედიზედ მეორე ფრე ითამაშა, თუმცა ფინიქსში გადარჩა, როცა ბარნსმა ლემიეს ბრწყინვალე გადაცემა გამოიყენა. მარიომ მთლიანობაში სამი პასი გააზერხა და 104 (44+60) ქულით ერთპიროვნული ლიდერია.

ანაჰაიმმა შეაწყვეტინა დეტროიტს 11 მატჩიანი წაუგებელი სერია. სელიანემ თავისი 43-ე შაიბა შეაგდო, მაგრამ მატჩის გმირი მისი თანამემამულე გამოცდილი კური გახდა. სწორედ იარის გოლმა მოუტანა „იხვებს" საჭირო ორი ქულა, ფინელმა კი კარიერაში 1369-ე ქულა შეიძინა და მე-11 ადგილზე მყოფ ბიუსიკს გაუთანაბრა.

რაც შეეხება გრეცკის, მან სეზონში მე-19, კარიერაში კი 856-ე გოლი მიითვალა და ახლა ლეგენდარულ მაიკ ბოსისთან ერთად ლიგის ისტორიაში მე-10 ადგილს იყოფს. მაგრამ მატჩის სული და გული აქაც ვეტერანი მარკ მესიე (1+2) იყო. მან სამივე საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა. გოლი კი, რომელმაც ორი ქულა მოუტანა რეინჯერსს, მისთვის 573-ე გახდა კარიერაში.

**სამველ ლარიბიანი**

**ევროპელები:** ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი, ფინეთი) 91 (43+48), იარომირ იაგრი (პიტსბურგი, ჩეხეთი) 87 (45+42), მატს სუნდინი (ტორონტო, შვედეთი) 80 (36+44), ზიგმუნდ პალფი (აილენდერსი, სლოვაკეთი) 70 (34+36), პეტერ ფორსბერგი (კოლორადო, შვედეთი) 65 (19+46), პეტერ ბონდრა (ვაშინგტონი, სლოვაკეთი) 64 (41+23), ალექსანდრ მოგილნი (ვანკუვერი) 63 (27+36), ალექსეი იაშინი (ოტავა, ორივე — რუსეთი) 60 (31+29).

**ახალბედები:** ჯერომ აიჯინლა (კალგარი) 47 (21+26), ჯიმ კემპბელი (სენტ ლუისი) 42 (23+19), ბრაიან ბერარი (აილენდერსი) 40 (7+33), ჯეიმი ლანგენბრიუნერი (დალასი) 36 (12+24), იანე ნიინიმა (ფილადელფია) 36 (4+32).

**უმრავლესობაში დაგროვილი ქულები:** სანდის ოზოლინში (კოლორადო) 34 (10+24), დუგ უეიტი (ედმონტონი) 33 (4+29), ჯო საკიკი (კოლორადო) 30 (7+23), ბრენდან შენაჰანი (დეტროიტი) 30 (18+12), მარიო ლემიე (პიტსბურგი) 29 (13+16), ჯეისონ არნოტი (ედმონტონი) 29 (10+19).




ტორონტო — ჩიკაგო. ცხელი ტორონტოს კართან: მეკარე პოტვინი ჩიკაგოელების — ამონტეს (10) და დალენის (22) წინააღმდეგ

*1997 წლის 18-24 ივლისს პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში ტარდება ევროპის ახალგაზრდობის ზაფხულის მეოთხე ოლიმპიური დღეები. ქართველი სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ სპორტის ექვს სახეობაში: ფეხბურთი, ძიუდო, მძლეოსნობა, ველოსპორტი, ტანვარჯიში და ცურვა.*

*შეჯიბრებაზე აკრედიტაციის მსურველ ჟურნალისტებს ვთხოვთ, მიმართონ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს (დავით აღმაშენებლის 65) 1997 წლის 25 მარტამდე.*

*ლისაბონში ჟურნალისტის მივლინების ყველა ხარჯს იღებს გაზეთი, ჟურნალი ან მისი მიმვლინებელი ორგანიზაცია.*

# ტური დამთავრდა. ვითამ გაივარჯიშა

ვერის ბაღი. 13 მარტი

**ვითა — შევარდენი 101:83**

**ვითა:** ტურაშვილი (16), უსტიაშვილი (14), ტულუში (7), ნაცვლიშვილი (27), ბერუაშვილი (19); ორმოცაძე (6), კოკოლიშვილი (12), რეზო ჩხეიძე

**შევარდენი:** ისაკაძე (2), ორჯონიკიძე (16), გიორგი ჩხეიძე (31), ლვინეფაძე (2), წოწელია (25), ქევხიშვილი (5), გიგაური (2), ცაგარეიშვილი

ეს მატჩი ვითელებმა იოლად მოიგეს. პირველ ტაიმში შევარდენელები ასე თუ ისე გაუძალიანდნენ მეტოქეს, მეორეში კი ყველაფერი თავის ადგილას დადგა. ვითელთაგან პრაქტიკულად არ უთამაშია რეზო ჩხეიძეს, რომელიც მხოლოდ ბოლო წუთზე გამოვიდა მოედანზე, რადგან ვითელები პერსონალურების გამო ოთხნილა იყვნენ. „შევარდენში" კი დიდი ხნის შესვენების შემდეგ გამოჩნდა გიორგი ჩხეიძე, რომელიც ადრე წოწელიასთან ერთად „შევარდენის" მთავარ დამრტყმელ ძალას წარმოადგენდა. სწორედ იგი იყო ყველაზე შედეგიანი ამ შეხვედრაში. საინტერესო ამ მატჩში ის იყო, რომ მეორე ტაიმში ვახტანგ ნაცვლიშვილმა ერთგვარი სანახაობა გამართა — ბურთებს კალათში ტენიდა და ასე ბევრი ბურთი ჩააგდო, ერთი კი თვით ნბა-საც დაამშვენებდა — კალათიდან ზემოთ ავარდნილ ბურთს ვახტანგი ძალზე მაღალ ნახტომში მისწვდა, ძლიერად დაჰკრა და კალათში მოათავსა. ნაცვლიშვილი ფარის უკანა მხარიდანაც შეეცადა ბურთის ჩაგდებას, მაგრამ ამ შეხვედრაში სამივე ცდა წარუმატებლად დასრულდა. თუმცა, მესამე ძალზე ახლოს იყო მიზანთან.

**დინამო — სდასუ 89:76**

**დინამო:** ქლენტი (2), მაისურაძე (27), ოთიურიძე (2), ბეჟანიშვილი (19), მაჭარაძე (4); ჩიქოვანი (4), კილაძე (18), ცხვედიანი (13)

**სდასუ:** აბრამიძე (22), დავითულიანი (9), ეზუტია (5), ჩუბინიძე (11), დერიუგინი (26); აბულაძე (3)

გასაოცარია, როგორ უძლებდა ექვსკაცა სდასუ მთელი ჩემპიონატის სიმძიმეს. ყველა მატჩში თავგამოდებით მებრძოლი სტუდენტების შემყურე გულშემატკივარს მათი დაღლა არც უფიქრია, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი. სდასუმ ველარ შესძლო — ზედიზედ ორ დღეს მთელი ძალით თამაში. სტუდენტებმა ხომ მედგარი ბრძოლა გაუმართეს ჩემპიონს და დინამოელებთან შეხვედრაში ძალამ უმტყუნათ.

პირველ წრეში სდასუმ „დინამო" 77:74 დაამარცხა და გამარჯვების შემთხვევაში ახლა მეორე ადგილზე დამკვიდრდებოდა. დინამოელებს კი რევანში სწყუროდათ და იმის დამტკიცებაც სურდათ, რომ ქართულ კალათბურთში მეორე გუნდს სწორედ ისინი წარმოადგენენ.

მატჩი თავბრუდამხვევ ტემპში დაიწყო. ორივე გუნდს ძალზე სწრაფი გამთამაშებლები ჰყავს და მათი წყალობით თამაშს ცეცხლი არ მოჰკლებია. ტემპში კი სიზუსტე დაიკარგა და მეტოქეებმა სამ-სამი უშედეგო შეტევა განახორციელეს, სანამ უსწრაფესმა მაისურაძემ ანგარიში არ გახსნა. მას დერიუგინმა უპასუხა კაუჭით, მაგრამ მაისურაძე აგრძელებდა თავის ჩინებულ გასვლებს, რომელთაც სამქულიანიც დაამატა და „დინამო" შვიდი ქულით დაწინაურდა 13:6. უნდა ითქვას, რომ სდასუს უკანახაზელებს ამ პერიოდში ტყორცნები არ წაუვიდათ და ქულების მოპოვება უფრო ტანმაღალმა კალათბურთელებმა დაიწყეს — ჩუბინიძემ ფარქვეშიდან და დერიუგინმა სამქულიანებით სხვაობა შეამცირეს. მე-8 წუთზე კი ჩუბინიძემ სტუდენტები დააწინაურა 17:14. მალე აბრამიძემ და დავითულიანმაც გამოიღეს ხელი და ანგარიშმა სდასუს სასარგებლოდ იწყო ზრდა. აქ მაისურაძემ კვლავ შეახსენა თავი მაყურებელს, მას კილაძეც აჰყვა და თამაშიც ქულა ქულაზე წავიდა. ასე გრძელდებოდა ტაიმის ბოლომდე, სანამ დერიუგინმა კვლავ სამქულიანი არ ჩააგდო და ბოლო წამებზე ჩუბინიძემ ჯარიმაც არ მიაყოლა — 40:35 სდასუს სასარგებლოდ.

მაგრამ იმ დღეს მაისურაძის შეჩერება შეუძლებელი იყო. მეორე ნახევარი, ისევე როგორც პირველი, მისი შესანიშნავი გასვლებით დაიწყო და „დინამომ" ძალზე სწრაფად შეატრიალა მატჩის ბედი. დავითულიანმა ზედიზედ ორი გარღვევა დაამთავრა შედეგიანად, მაგრამ ისევ მაისურაძე და „დინამო" დაწინაურდა — 59:53. მატჩის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე სდასუს გულშემატკივრებმა შვებით ამოისუნთქეს — ხუთი პერსონალურის გამო მაისურაძემ მოედანი დატოვა, მაგრამ ირაკლიმ თავისი გააკეთა — თამაში უკვე „დინამოსი" იყო. ცხვედიანის სამქულიანის შემდეგ 64:55 გახდა. ბეჟანიშვილის გასვლაც — 66:55 და სდასუ წელში გატყდა. კილაძემ, ბეჟანიშვილმა და ცხვედიანმა დაასრულეს საქმე. დინამოელები უნივერსიტეტელებს გაუთანაბრდნენ.

14 მარტი

**აზოტი — შევარდენი 97:83**

**აზოტი:** გაბისონია (9), კიკვიძე (5), გოგოლაძე (11), ბოისა (21), ჯაფარიძე (31); კოჭლამაზიშვილი (3), კეჭაყმაძე (17)

**შევარდენი:** ორჯონიკიძე (5), ქევხიშვილი (23), ჩხეიძე (21), გიგაური (4), წოწელია (30); მაჭავარიანი, ლვინეფაძე

თუ გავითვალისწინებთ, რომ ფლეიოფში ოთხი გუნდი გადის, სავარაუდოა, რომ ზედმეტი მეხუთე ამ ორი გუნდიდან ერთ-ერთი იქნება. ამიტომ ამ მატჩს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მეოთხე ადგილზე მყოფი „შევარდენი" ამ ტურამდე ერთი ქულით უსწრებდა „აზოტს" და პირველი წრის შეხვედრაც მოგებული ჰქონდა.

„შევარდენმა" უკეთ დაიწყო წოწელიასა და ქევხიშვილის ზუსტი ტყორცნების წყალობით. რუსთაველები მდევრის როლში აღმოჩნდნენ, მაგრამ მე-10 წუთისთვის ჯაფარიძემ ანგარიში გაათანაბრა. ამის შემდეგ, ათი წუთის განმავლობაში, კოჭლამაზიშვილის სამქულიანამდე თამაში ქულა-ქულაზე მიდიოდა, შემდეგ კი ჯაფარიძემ და გაბისონიამ სხვაობა გაზარდეს და რუსთაველებმა ტაიმი შვიდი ქულით მოიგეს — 46:39.

მეორე ტაიმში ბოისასა და ჯაფარიძის აქტიური თამაშის წყალობით „აზოტმა" უპირატესობა ათ ქულამდე გაზარდა. ჩხეიძე და წოწელია ბევრს ეცადნენ, მაგრამ რუსთაველებმა უპირატესობა ხელიდან ბოლომდე არ გაუშვეს.

**ვითა — დინამო 117:72**

**ვითა:** უსტიაშვილი (9), ჩხეიძე (15), კოკოლიშვილი (14), ნაცვლიშვილი (37), ბერუაშვილი (7); თორთლაძე (9), ტურაშვილი (10), ტულუში (4), ორმოცაძე (15), სანაძე (13)

**დინამო:** ქლენტი (7), მაისურაძე (27), კილაძე (9), ცხვედიანი, მაჭარაძე (19); ბეჟანიშვილი (4), ჩიქოვანი (4), ბერია (2)

სამწუხაროდ, ამ მატჩზე საინტერესოს ბევრს ვერაფერს იტყვის კაცი. ან კი რაა სათქმელი —საქართველოს პირველი გუნდი მეორეს 45 ქულას უგებს. მატჩის ბედი, ფაქტობრივად, პირველი ტაიმის მე-12 წუთისთვის გადაწყდა, როდესაც ნაცვლიშვილმა ზედიზედ სამი გასვლით თორმეტ ქულამდე გაზარდა სხვაობა. ამის შემდეგ და მატჩის ბოლომდე ასე გაგრძელდა. ვითელებმა და დინამოელმა მაისურაძემ ტყორცნებში ივარჯიშეს. კიდევ ის შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატში თავისი პირველი მატჩი ჩაატარა გია სანაძემ.

**კოტე მგალობლიშვილი**

პირველი ტურის შემდეგ ხუთეული ასე გამოიყურება:

„ვითა" 14 ქულა (გამოტოვებული მატჩი „იმერეთთან"). „დინამო" და სდასუ 12-12, „შევარდენი" და „აზოტი" 8-8.

დღეს დანარჩენი ადგილებისთვის მებრძოლნი დაიწყებენ ურთიერთობის გარკვევას. ხუთეულის მეორე ტური კი 25 მარტს დაიწყება.

## ევროლიგა. მერვედფინალი. ორ მოგებამდე. გადამწყვეტი მატჩები. 13 მარტი

(ფრჩხილებში წინა მატჩების შედეგებია)

*სტეფანელი (იტალია)* — კინდერი (იტალია) 78:76 (67:59, 76:83)
პარტიზანი (იუგოსლავია) — *ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)* 69:74 (71:81, 61:60)
*ეფეს პილსენი (თურქეთი)* — მაკაბი (ისრაელი) 84:69 (76:67, 65:78)
ციბონა (ხორვატია) — *ოლიმპია (სლოვენია)* 61:62 (61:58, 66:69)
*ვილერბანი (საფრანგეთი)* — ესტუდიანტესი (ესპანეთი) 75:71 (97:74, 77:79)

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ მეოთხედფინალში*

### მეოთხედფინალი. ორ მოგებამდე
27 მარტი, 1 აპრილი (თუ საჭირო გახდა, 3 აპრილი)

სტეფანელი (იტალია) — ოლიმპია (სლოვენია)
ტიმსისტემი (იტალია) — ბარსელონა (ესპანეთი)
ეფეს პილსენი (თურქეთი) — ვილერბანი (საფრანგეთი)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)

## კორაჩის თასი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები. 12 მარტი

(ფრჩხილებში პირველი მატჩის შედეგია)

*თოფაში (თურქეთი)* — მაზოვეანკა (პოლონეთი) 90:76 (77:74)
ბენეტონი (იტალია) — *არისი (საბერძნეთი)* 87:86 (73:77)

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ ფინალში*

### ფინალი. 26 მარტი, 2 აპრილი

არისი (საბერძნეთი) — თოფაში (თურქეთი)

## ევროპის თასი

### ნახევარფინალი. 25 მარტი, 1 აპრილი

ირაკლისი (საბერძნეთი) — რიელო (იტალია)
რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი)

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

12 მარტი

ინდიანა — ატლანტა 92:82, იუტა — ნიუ ჯერსი 117:102, ჩიკაგო — ფილადელფია 108:104, ვაშინგტონი — ვანკუვერი 104:82, ორლანდო — ჰიუსტონი 96:95, ლეიკერზი — გოლდენ სტეიტი 109:101

13 მარტი

სიეტლი — მინესოტა 108:92, დალასი —ბოსტონი 109:107, დეტროიტი — დენვერი 102:82, გოლდენ სტეიტი — კლივლენდი 101:95, ფინიქსი — კლიპერზი 112:96, ტორონტო — საკრამენტო 103:96

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| ატლანტიკის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ იორკი | 47 | 17 | 73,4 |
| მაიამი | 46 | 17 | 73,0 |
| ორლანდო | 34 | 28 | 54,8 |
| ვაშინგტონი | 29 | 33 | 46,8 |
| ნიუ ჯერსი | 18 | 44 | 29,0 |
| ფილადელფია | 16 | 46 | 25,8 |
| ბოსტონი | 12 | 52 | 18,8 |

| ცენტრალური დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| *ჩიკაგო* | 55 | 8 | 87,3 |
| დეტროიტი | 46 | 17 | 73,0 |
| ატლანტა | 43 | 20 | 68,3 |
| შარლოტი | 41 | 22 | 65,1 |
| კლივლენდი | 34 | 29 | 54,8 |
| ინდიანა | 30 | 32 | 48,4 |
| მილუოკი | 26 | 36 | 41,9 |
| ტორონტო | 23 | 40 | 36,5 |

### დასავლეთის კონფერენცია

| შუა-დასავლეთის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| *იუტა* | 46 | 17 | 73,0 |
| ჰიუსტონი | 43 | 21 | 67,2 |
| მინესოტა | 31 | 31 | 50,0 |
| დალასი | 21 | 41 | 33,9 |
| დენვერი | 18 | 45 | 28,6 |
| სან ანტონიო | 15 | 47 | 24,2 |
| ვანკუვერი | 11 | 54 | 16,9 |

| წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| სიეტლი | 44 | 18 | 71,0 |
| ლეიკერზი | 42 | 20 | 67,7 |
| პორტლენდი | 36 | 28 | 56,3 |
| საკრამენტო | 28 | 36 | 43,8 |
| კლიპერზი | 26 | 35 | 42,6 |
| ფინიქსი | 25 | 38 | 39,7 |
| გოლდენ სტეიტი | 24 | 39 | 38,1 |

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ ფლეი-ოფში*



# თელაველი ფინალი ისპაჰანში

ირანის ქალაქ ისპაჰანში გაიმართა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, რომელიც „ფაჯრის თასად" არის ცნობილი. შეჯიბრებაში ათმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა, ძირითადად აზიის წარმომადგენლებმა. ირანს შვიდი ქართველი ძიუდოისტიც ჩავიდა, ყველა სპორტკლუბ „დინამოს" წევრი.

ჩვენებურთაგან საუკეთესოდ თელაველმა გიორგი წმინდაშვილმა (86 კგ) იასპარეზა, რომელმაც ორი მედალი მოიპოვა. თავის წონის ფინალამდე იგი სამი იპონით მივიდა. ასეთივე შედეგით მიაღწია გადამწყვეტ შეხვედრას მეორე თელაველმა, მამუკა ბოტკოველმა. ფინალში წმინდაშვილმა იუკოთი აჯობა თანამემამულეს.

წმინდაშვილი აბსოლუტურ კატეგორიაშიც გამოვიდა. იქაც სამი შეხვედრა წმინდად მოიგო, ფინალში კი მძიმე წონაში ირანის ნაკრების პირველი ნომერი — მაჰმუდ მირანი დახვდა. ჩვენი მწვრთნელის, ბიძინა მაზიაშვილის გადაწყვეტილებით, გიორგის ფინალი აღარ უჭიდავია, რადგან 50 კილოგრამით მძიმე მეტოქესთან ჭიდილს, შესაძლოა, ტრავმა მოეტანა.

მეორე ადგილზე გავიდა თელაველი ლევან ჯაფარიძე (მძიმე წონა). სამი მოგების შემდეგ ფინალში ჯაფარიძეც იგივე მირანს გადაეყარა. გამარჯვება ირანელს დარჩა.

თბილისელმა ივანე წივილაძემ (78 კგ) ნახევარფინალში გვარიანად ათრია ირანელი აიაზი. მაგრამ მსაჯებმა მისთვის შეფასება, ხოლო მეტოქისთვის — გაფრთხილება ვერ გაიმეტეს და ხანტერთაც სპარსს მოაგებინეს. წივილაძემ მესამე ადგილისთვის შეხვედრა წმინდად მოიგო და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენებმა ერთი ოქროს, სამი — ვერცხლისა და ერთიც ბრინჯაოს მედლის წყალობით მეორე ადგილი დაიკავეს. პირველობა, ცხადია, მასპინძლებს დარჩათ.

# საგარეჯო გადამწყვეტი ეტაპია

დღეს და ხვალ საგარეჯოში გაიმართება საქართველოს ჩემპიონატი 1981-82 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის. შეჯიბრება იმითაა მნიშვნელოვანი, რომ საბოლოოდ დადგინდება ევროპის ახალგაზრდობის ზაფხულის ოლიმპიურ დღეებზე გასამგზავრებელი გუნდის კანდიდატთა ვინაობა. შეგახსენებთ, რომ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებს ივლისში პორტუგალიის დედაქალაქი ლისაბონი უმასპინძლებს.



# შანსი არის, თუმცა პატარა

ფინეთისა და შვეიცარიის ნაკრებებთან [illegible] ფინალში [illegible] ქართველ გულშემატკივარ[illegible] ხელბურთის [illegible] არც შვეიცარიელებთან საპასუხო მატჩმა დატოვა ვინმე გულგრილი. მატჩის შესახებ ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა მერაბ მეტრეველმა მოგვითხრო:

— უპირველესად აღვნიშნავ, რომ შვეიცარიელებს კვლავ აკლდათ ბაუმგარტნერი, მაგრამ ჩვენს ნაკრებსაც ჰქონდა პრობლემები — ბოყოჩაძე და გელაშვილი ავად იყვნენ და ისე გავიდნენ მოედანზე. ბოყოჩაძემ სულ ცოტა ხანს, მატჩის დასაწყისში ითამაშა და შემდეგ სათადარიგოთა სკამზე დაჯდა. გელაშვილის თამაში კი აშკარად შორს იყო სასურველისგან. ამიტომ გუნდმა, ფაქტობრივად, ურეზერვოდ ჩაატარა მატჩი. დათუკიშვილი და გვაზავაც ჯერ გამოუცდელნი არიან ამ დონის თამაშებისთვის. პირველი ტაიმის 20 წუთის შემდეგ ქართველი ხელბურთელები წინ იყვნენ 2 ბურთის სხვაობით, მაგრამ ზედმეტი მოთამაშის ყოლით ვერ ისარგებლეს და უპირატესობის გაზრდის ნაცვლად ორი გოლი მიიღეს საკუთარ კარში. პირველი ტაიმი ჩვენმა ნაკრებმა 13:14 წააგო. მეორე ტაიმში ჩვენს ხელბურთელებს ხუთწუთიანი ჩავარდნა ჰქონდათ და მატჩის ბედიც ამ პერიოდში გადაწყდა. შემდეგ კი ბევრს ეცადნენ, მაგრამ ამაოდ — 22:28.

**— რა პრინციპით გამოვლინდება ჯგუფში გამარჯვებული, თუ გუნდები ერთნაირ ქულებს დააგროვებენ და გვაქვს თუ არა გამარჯვების შანსი?**

— თქვენი კითხვა მართებულია, რადგან ერთბაშად სამ გუნდს შეიძლება დაუგროვდეს ერთნაირი ქულები. ამ დროს უპირატესობა მიენიჭება მას, ვისაც ბურთების უკეთესი სხვაობა ექნება ერთმანეთთან ჩატარებულ შეხვედრებში. საქართველოს ნაკრებს -2 აქვს ფინეთის გუნდთან და -2 შვეიცარიასთან. ესე იგი, ჩვენთვის სასურველია, ამ გუნდების ბურთების სხვაობა ერთმანეთთან ნათამაშევ მატჩებში ნულის ტოლი იყოს. ამის შემდეგ უპირატესობა ეძლევა გატანილ გოლებს. აქ კი ასეთი მდგომარეობაა: შვეიცარიელებს 103 გოლი აქვთ გატანილი, ქართველებს 95, ფინელებს 92. ასე რომ, ზემოთ აღნიშნული პირობის გარდა ჩვენმა ხელბურთელებმა ბელგიის გუნდს 8 ბურთით მეტი უნდა გაუტანონ, ვიდრე შვეიცარიელები ფინელებს. ეს შეუძლებელი არ არის, რადგან ბელგიელები შვეიცარიელებთან ორ მატჩში დამარცხების შემდეგ, ფაქტობრივად, ახალგაზრდული შემადგენლობით ასპარეზობენ. ერთი სიტყვით, შანსი არის, თუმცა ძალზე პატარა.



# მდინარაძე ნებიოლო როდია

მართალია, საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია სხვა დალხინებული ქვეყნების ფედერაციათა დარად ფინანსური წელგამართულობით ვერ დაიკვეხნის, არც ჩვენებურ მძლეოსნებს აქვთ მრავალფეროვანი სატურნირო არჩევანი, მაგრამ რაც კეთდება, ესეც ფედერაციის მესვეურთა დიდი ძალისხმევითა და მეცადინეობით. მით უმეტეს, მძლეოსნობამ კარგა ხანია დაკარგა ჩვენში პოპულარობა და საზამთრო ჭერქვეშა ჩემპიონატებს მხოლოდ ტურნირთა ორგანიზატორები, სპორტსმენები, მათი მეგობარ-ნათესავები თუ ესწრებიან. თითო-ოროლა მძლეოსნობაზე თავგადაკრული გულშემატკივარიც თუ გამოჩნდება დარბაზში. ამჯერადაც ასე იყო: თბილისის მძლეოსნობის სასახლეში გამართულ საქართველოს თასის გათამაშებას მცირერიცხოვანი ქომაგნი კი უცქიროდნენ, მაგრამ სხვა მხრივ ტურნირის გამმართავნი ყველანაირად ეცადნენ, რომ შეჯიბრება უხარვეზოდ ჩატარებულიყო. ასპარეზობის პირველ დღეს, ვფიქრობ, ეს შეძლეს კიდეც. ფედერაციის პრეზიდენტს თამაზ მდინარაძეს, აბა, საიდან აქვს იმდენი ფული, რომ იააფ-ის თავკაცის პრიმო ნებიოლოს დარად გაანებიეროს ჩემპიონები (ამ ბოლო დროს ნებიოლო მეტად ხელგაშლილად იქცევა — მძლეოსანთა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებზე სპონსორებს შეეხიდა და საკმაოდ სოლიდურ საპრიზო ფონდს თავისი ფედერაციის ჯიბიდანაც მნიშვნელოვანი პრემიები წაამატა), ფედერაციამ თავისი მწირი ბიუჯეტით ასპარეზობის გამართვა და ნაკლებად სოლიდური პრიზების დაწესებაც შეძლო, მაგრამ კეთილ ხალხს რა დალევს: ყოფილმა მძლეოსანმა ზურაბ თავბერიძემ ყოფილ კოლეგებსა და მეგობრებს უთანაგრძნო, ხელი გამოიღო და დაწესებული პრიზები კიდევ უფრო გაამრავალფეროვანა.

საქართველოს თასის გათამაშება საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო: თბილისში მოწვეული 18 გუნდიდან მხოლოდ გურჯაანელი, ხარაგაულელი და სამტრედიელი სპორტსმენები არ გამოცხადდნენ, 15 გუნდის 250-მდე მძლეოსანმა კი გუშინ აიღო სტარტი. თებერვლის მიწურულს გამართული საქართველოს ჩემპიონატისგან განსხვავებით, ამ ტურნირზე შუბის მტყორცნელებიც მოსინჯავენ ძალას. გუშინ ზოგიერთ სახეობაში გამოვლინდნენ ჩემპიონები და პრიზიორები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, სახეირო ის იყო მხოლოდ, რომ თარჯმრბენთა 60-მეტრიან დისტანციაზე ერთადერთი მონაწილე, ბორჯომელი ნელი ცირეკიძე გამოცხადდა. ნელის მოცილე არ ჰყავდა, მარტომ ირბინა და ჩემპიონიც, აბა, სხვა ვინ გახდებოდა.

**ლევან ჯაჯახიშვილი**

ვაჟები

სამმაგი ხტომა

1. ვასილ მახარაძე (ქუთაისი) — 15.88
2. ედგარ გრიგორიანი (თბილისი) — 15.33
3. ოთარ დარჩია (ოზურგეთი) — 13.36

ბირთვის კვრა

1. მინდია ერქომაიშვილი (ოზურგეთი) — 14.10
2. ვალერი ლანჩავა (თბილისი) — 11.60
3. დათო მანთიძე (ოზურგეთი) — 10.60

გოგონები

სამმაგი ხტომა

1. მარგალიტა ლომიძე (თბილისი) — 11.95
2. იამზე ტოგონიძე (თბილისი) — 10.52
3. თეა ბუცხრიკიძე (ქუთაისი) — 10.33

ბირთვის კვრა

1. მაკა ობოლაშვილი (გარდაბანი) — 12.00
2. რუსუდან ჭინჭარაული (საგარეჯო) — 10.40
3. ქეთინო პაპავა (აჭარა) — 9.30

400 მეტრზე სირბილი

1. ქეთინო აბრამიძე (ვანი) — 1.02, 07
2. მაკა დარბაიძე (საგარეჯო) — 1.04, 03
3. ნინო ბურნაძე (ბორჯომი) — 1.05, 01

თარჯრბენი. 60 მეტრი

ნელი ზერეკიძე (ბორჯომი) — 11, 7

# გამარჯვებულებს ლომები ღრიალით შეგეგებიან

## კაცისას რას გაიგებ, მით უმეტეს ლეოპარდისას

„თქვენ ახლა ხართ უჰუროზე აფრიკის უმაღლეს წერტილზე რომელიც მდებარეობს 5 895 მეტრზე ზღვის დონიდან".

ასეთი წარწერებიანი ფირნიში დახვდათ კილიმანჯაროზე თბილისელ გია თორთლაძესა და გივი გიგაურს, იქიდან ჩამოსულებს კი ნადირთა მეფე ღრიალით შეხვდა, მაგრამ რა იცოდნენ ბიჭებმა, რომ მწვერვალიდან მშვიდობით დაბრუნებულთ და ლომთა ხახას გადარჩენილებს სწორედ მაშინ დაატყდებოდათ ხიფათი, როცა თავს სამშვიდობოს დაიგულებდნენ.

მაგრამ ხიფათამდე რაკი მათ დიდი გზა გაიარეს და შთაბეჭდილებებით დაიხუნძლნენ, ჩვენც ჩვენი მოლაშქრეების ემოციებს „ავყვეთ", რასაც ექსპედიციის მეთაური გია თორთლაძე გაგვიზიარებს. თუმცა, აქვე უნდა გავაწბილოთ მთამსვლური თავგადასავლების მოყვარულნი, რომ წმინდა წყლის ალპინისტური თვალსაზრისით ეს ასვლა უინტერესოა. მნიშვნელოვანი აქ სულ სხვა რამაა — ეს იყო პირველი ქართული ექსპედიცია აფრიკის უმაღლეს მწვერვალზე.

ახლა ამაზე რომ ვსაუბრობთ, მკითხველს, მთლად უწიგნური თუ არ არის, ალბათ მეხსიერებაში უმალ წამოუტივტივდება ლეოპარდი, რომელსაც ლამის კილიმანჯაროს კენწერომდე აუღწევია და ყინულებში სული განუტევია. მკითხველს ალბათ გაახსენდება ჰემინგუეის მიერ დასმული კითხვაც — ნეტა იქ რამ აიყვანა ლეოპარდიო. მაგრამ ლეოპარდისას რას გაიგებ, როცა ადამიანებისა ვერა გაგვიგია. ვერც ის, თუ რისთვის ადიან მწვერვალებზე. მაგრამ ახლა, მანამ თემისთვის გადაგვიხვევია და ფილოსოფიური მსჯელობის მორევში გადავშვებულვართ, დროა დავუბრუნდეთ კილიმანჯაროს, რომელზე ასვლითაც გია თორთლაძემ თავისი კოლექცია კიდევ ერთი კონტინენტის უმაღლესი პიკით შეავსო, რაზეც ალბათ ყველა მთამსვლელი ოცნებობს და არც ეს არის უმნიშვნელო რამ.

ყოველი შემთხვევისთვის შეგახსენებთ: თორთლაძე ასულა ევროპის უმაღლეს მწვერვალზე (იალბუზი), ჩრდილოეთ ამერიკის „სახურავზე" (მაკ კინლი), სამხრეთ აფრიკის უმაღლეს პიკზე (აკონკაგუა) და ახლა აფრიკისაზეც. კოლექციაში მოისაკლისებს ავსტრალია-ოკეანიის უმაღლეს მწვერვალ ჯაიასა და აზიის უმაღლეს პიკ ჯომოლუნგმას, დედამიწის სახურავსაც რომ უწოდებენ. თუმცა, არის კიდევ ერთი — ანტარქტიდის უმაღლესი მწვერვალი ვინსონიც.

იმედია, ამათაც მოევლება, უფრო სწორედ აევლებათ, და მკითხველსაც „დიდი თავგადასავლები" ელის, მანამდე კი —

### კილიმანჯარო

რაკი ეს იყო ქართველ მთამსვლელთა პირველი ასვლა კილიმანჯაროზე, მასზე ასვლის მსურველი სხვა ჩვენი თანამემამულენი უთუოდ დაინტერესდებიან აფრიკაში მიმავალი და მწვერვალზე ამავალი გზითაც. ამიტომ ჩვენც ამით დავიწყოთ.

აფრიკაში ჩასასვლელად, ჯერ კიდევ შორი გზაა გასავლელი, რომელიც, ალბათ ხვდებით, სამწუხაროდ ისევ მოსკოვზე გადის, იქ ჩასულ კაცს კი „ჩაწყობილი კარტი" ერევა. ჩვენს მთამსვლელებსაც აერიათ.

— ტანზანიაში, სადაც კილიმანჯაროა, კენიის გავლით უნდა ჩავხვედით, რადგან იქ თვითმფრინავი არ დაფრინავს, — გვიამბობს თორთლაძე. — ტანზანიის ვიზების საქმე რაკი მოგვარებული გვქონდა, ვიფიქრეთ, არც კენიისა გაჭირდებოდა, მაგრამ მოსკოვში იმათ საელჩოში ჩასულებს ცივი წყალი გადაგვასხეს, სამი-ოთხი კვირის ლოდინი მოგიწევთო. ამ ხნის განმავლობაში მამა-სისხლად, თეთრ-თეთრობით ნაშოვნი ფული სულ მოსკოვში შემოგვეხარჯებოდა. ამიტომ აქეთ ვეცით, იქით ვეცით და მოსკოვში საქართველოს საელჩოს „დავეცით". ღმერთმა ააშენოს ის ხალხი, დატრიალდნენ და იმათი დახმარებით ცხრა დღეში კენიის ვიზაც ავიღეთ და მის დედაქალაქ ნაირობში ჩავფრინდით. იქ ტანზანიიდან გადმოვიდნენ ტურისტული ფირმა „ზარა ინტერნეიშნლის" წარმომადგენლები, რომლებსაც თავიანთ ქვეყანაში ყოფნისას ჩვენთვის უნდა ეპატრონათ. მათ მანქანით გადაგვიყვანეს ტანზანიის ქალაქ მოშიში, რომელსაც 4-5 საათში მივაღწიეთ. მეორე დღეს კვლავ 2 საათი ვიმგზავრეთ მანქანით, მერე კი ფეხით გავუყევით კილიმანჯაროს ფერდობებს. 4 საათის მერე ტყეში 2 700 მეტრამდე ავაღწიეთ, სადაც




მშვენიერი ხის კოტეჯები დაგვხვდა. დილით კვლავ გავაგრძელეთ გზა. ტყის ზოლი ავათავეთ და ალპური ზოლიც დაიწყო. 3 700 მეტრზეც ხის კოტეჯები დაგვხვდა. მანამდე საშინელმა წვიმამ დასცხო. შორტებითა და მაისურებით ვიყავით, ბარგი კი მოჰქონდათ მტვირთავებს, რომლებიც 2-3 საათით ჩამოგვრჩნენ. მთლად გალურჯებულებს მხსნელად მოგვევლინა ერთი ინგლისელი მთამსვლელი, რომელმაც თავისი ტანსაცმელი გაგვინაწილა. მესამე დღეს, 4-5 საათის სიარულის მერე 4 750 მეტრზე ავედით. იქაც ხის შენობა დაგვხვდა სინათლითა და სითბოთი. მეოთხე დღეს იქ საკლიმატიზაციოდ გავჩერდით და ცოტა ზემოთაც ავისეირნეთ-ჩამოვისეირნეთ, ღამის 1 საათზე კი პირდაპირ მწვერვალისკენ გავემართეთ. კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი 5 000 მეტრამდე ამოვიდა და იქამდე ყველაფერი ვიდეოფირზე აღბეჭდა. არამთამსვლელისთვის ეს დიდი მიღწევაა, დანარჩენები ყველანი ავედით ვილმონტზე, რომელიც 5 685 მეტრი სიმაღლისაა.

კილიმანჯარო ჩვენც გვინახავს, ოღონდ ფოტოსურათებზე ლურჯზე ლურჯი ცის გუმბათის ფონზე მწვერვალი მწვანეზე დადებულ ვეება თეთრ ბალიშს წააგავს. მისი უშველებელი თხემი ისეთი ჩანს, თითქოს თარაზოთი მოუსწორებიათო. თორთლაძის გადაღებულ ფოტოსურათებზეც ასეთია კილიმანჯარო, მაგრამ იქ ასულთ სულ სხვაგვარი დახვდათ.

კილიმანჯაროს „ბალიშის" ყველაზე დაბალი წერტილი 5 685 მეტრი ყოფილა. სწორედ მას ჰქვია ვილმონტი. უმაღლესს კი უჰური ეწოდება და იგი 5 895 მეტრზეა აღმართული, მაგრამ იქამდე მთელი 12 კილომეტრია. ასეთი მანძილის გამო კილიმანჯაროს ამ ორ წვერს შორის სიმაღლეში 210 მეტრიანი სხვაობა თვალისთვის შეუმჩნეველია. თავად მწვერვალის ზედაპირი ქვა-ღორღითა და ხრეშითაა დაფარული. არის თოვლის ლაქებიც, ზღვის ქაფს რომ გვაგონებს და არის ყინულის მასაც, აისბერგივით რომ აღმართულა.

მწვერვალზე ლაშქრობიდან იმასღა ვიტყვით, რომ ვილმონტზე ავიდნენ გია თორთლაძე, გივი გიგაური, დავით სიმონიშვილი და დავით დანელია. რაკი სიმონიშვილი და დანელია კარგა ხანია მთაში აღარ ყოფილან, უჰუროსკენ თორთლაძე და გიგაური გაემართნენ და მას 2,5 საათის მერე მიაღწიეს, იქიდან კი, როგორც თორთლაძემ გვითხრა, 4 700 მეტრზე მდებარე კოტეჯში კისრისტეხით 1 საათსა და 40 წუთში დაეშვნენ, იქიდან კი იმ დღესვე ქვედა კოტეჯებში იყვნენ ყველანი.

ასე ჩაეტია კიდევ ერთი მწვერვალი ექსპედიციის მეთაურის „ჟულაბაში", ყველა კონტინენტის უმაღლესი პიკებისთვის რომ აქვს განკუთვნილი.

საამუულაბოდ თორთლაძემ ის, იმ 4 700 მეტრზე მდებარე კოტეჯში კიდევ ერთი ასეთი მწვერვალი მონიშნა. ეს გახლავთ

### ვინსონი

ვინსონი ანტარქტიდაზეა აღმართული, 5 100 მეტრზე. ამ მწვერვალზე თორთლაძე ისედაც ფიქრობდა, მაგრამ „კილიმანჯაროს თოვლიან მთაზე" ეს გეგმა უფრო კონკრეტული გახდა მას მერე, რაც იქ გადაეყარა „სარბიელის" მკითხველისთვის კარგად ნაცნობ შერეკილს — „ფაფიჭამა პილიგრიმს" რუს ფიოდორ კონუხოვს, რომელიც ჩვენებურსავით ყველა კონტინენტის „სახურავებს" აგროვებს. ამ ორმა ქართველმა და რუსმა რაკი ერთად ჩაიწერეს არქივში კილიმანჯარო (ბოლო ბანაკიდან ერთად გაუდგნენ გზას, მაგრამ მწვერვალზე ასვლა 40 წუთით „დაასწრო" თორთლაძემ), ერთმანეთსაც უკეთ გაუგეს. ჰოდა, გადაწყვიტეს ვინსონზე ერთად ავიდნენ, თუმცა, ანტარქტიდის ეს მწვერვალი კონიუხოვის კოლექციაში უკვე თავს იწონებს, მაგრამ გული ისევ პინგვინთა სამშობლოსკენ მიუწევს.

ჰოდა, ამ ორმა იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა, ვინსონის გარდა ანტარქტიდაზე დალაშქროს კიდევ ორი მწვერვალი, ორივე უსახელო და დაარქვას ერთს „საქართველო", მეორეს — „რუსეთი".

მანამ თორთლაძე პინგვინების სამოთხეს ეწვეოდეს, სულ მალე, იეტის ანუ თოვლის კაცის სამშობლოში აპირებს ჩასვლას, რათა უფრო დიდ მიზანს მიაღწიოს, მაგრამ ვიდრე ამაზე მოგითხრობდეთ, ჯერ ჟირაფების ქვეყანაში თავსგადახდენილ ამბებზე ვისაუბროთ.

ჩვენს წერილში ნადირ-ფრინველთა ისეთი კალეიდოსკოპი დავატრიალეთ, რომ მგონი მკითხველს თავი ზოოპარკში ჰგონია. თუმცა, რაღა ჰგონია, როცა, თორთლაძეს თავისი ნაამბობით შევყავართ

### ჯუნგლებში

კილიმანჯაროდან დაბრუნებულნი ქალაქ მოშიში რომ მოშუშდნენ და დაისვენეს, მერე მათმა მომსახურე ფირმამ ზღაპრული მოგზაურობა მოუწყო.

— ოთხი დღის განმავლობაში იმდენი რამ ვნახეთ, რასაც ბევრი მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ იხილავს — გვიამბობს თორთლაძე. — დაგვათვალიერებინეს ეროვნული პარკი მანიარატბა. იქ პირველად ვნახეთ ბუნებაში ბეჰემოტები, სპილოები, ტახები, ჟირაფები და სხვა ათასი ნადირ-ფრინველი, რაც თბილისის ზოოპარკში არა თუ დღეს, ჩვენს ბავშვობაშიც არ ყოფილა. დაგვათვალიერებინეს მსოფლიოში უდიდესი კრატერი ნგოხო ნგოხო, რომლის დიამეტრი 20 კილომეტრია. შიგ ორი ულამაზესი ტბა იყო, მის ირგვლივ კი საოცარი სიმწვანე და ნადირ-ფრინველთა საოცარი სიჭრელე. იქვე ვნახეთ მასაის ტომის სოფელი, მათი ყოფა-ცხოვრება. ამ ტომის ხალხი მაღალი, მამაცი, გულადი და წარმოსადეგი ხალხი ყოფილა. ამდენი ათლეტური აღნაგობის ხალხი, ერთად თავმოყრილი, ჯერ არ მინახავს. გვარწმუნებდნენ, დღესაც ამ ტომის კაცმა ცოლი რომ ითხოვოს, სასიმამროს ჯერ 120 სულისგან შემდგარი საქონლის ჯოგი უნდა მიურეკოს, მერე კი მარტოდმარტომ შუბით ლომი უნდა მონადიროსო. როცა „კონცერტი" გაგვიმართეს, იმაში კი დავრწმუნდით, რომ მათ ცეცხლოვანი როკვა და სიმღერები სცოდნიათ. იქიდან გადავედით ოლდევაის ხეობაში, სადაც არქეოლოგიური გათხრებისას, 1959 წელს, დოქტორმა ლიკიმ ადამიანის უძველესი ნაშთი აღმოაჩინა. დავათვალიერეთ იქაური მუზეუმებიც, რასაც თითქმის 4 საათი მოვუნდით. ვიყავით სურენგეტის ეროვნულ პარკშიც, რომელიც ტერიტორიულად საქართველოს აღემატება. მხოლოდ იქ ვნახეთ ლომები. ჩვენი ინგლისური ჯიპით „ლენდ როვერით", მართლაც „მხეცი" მანქანა რომაა, ლომების ოჯახთან სულ ახლოს მივედით, სურათებიც გადავუღეთ და ვიდეოზეც აღვბეჭდეთ, ისინი კი აინუნშიაც არ გვაგდებდნენ. ის ღამე ტყეში, მინდორზე გაშლილ კარვებში გავათენეთ. იქვე სხვა მოგზაურთა კიდევ ოთხი თუ ხუთი კარავი იდგა. იმ ღამეს ერთი გადარეული ლომი სულ რაღაც 50-იოდე მეტრზე მოგვიახლოვდა, ლამის გათენებამდე ღრიალებდა. არც ჩვენ, არც ჩვენ ორ მხლებელს და არც სხვა კარვებში მყოფთ იარაღი არ გვქონდა. ჰოდა, მთელი ღამე იმის ღრიალისა და საკუთარი გულის ბაგა-ბუგის მოსმენაში გავატარეთ. ჩვენი ზანგი შოფერი და მზარეული გვამშვიდებდნენ, ლომები უწყინარნი არიანო.

— ეს ყველაფერი ძვირი სიამოვნებაა და უსპონსოროდ რას გახდებოდით, — ვეკითხებით თორთლაძეს.

— აფრიკაში ისინი წავედით, ვინც სპონსორს მიაგნო, თორემ მსურველი, რა თქმა უნდა, ბევრი და ძლიერი მთამსვლელი იყო. უთუოდ დიდი მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ისინი: „აიეტი TV", „დიროლი", ფირმა „კავტრესტი", საქართველოს საბაჟო, ზურაბ წერეთელი, „ფიტომალი".

— „ფიტომალი" ალბათ თავისი საცხისითაც მოგამარაგებდათ, ალბათ გამოიყენებდით კიდეც.

— რა თქმა უნდა, მაგრამ თითქმის მთელი მარაგი მასაის ტომს დავუტოვეთ და ხმარებაც ვასწავლეთ. სიხარულით ცას ეწვივნენ, მაგრამ რა ვიცოდით მაშინ, რომ ფიტომალი ჩვენც ბლომად დაგვჭირდებოდა. საქმე ის იყო, რომ როცა უკან ვბრუნდებოდით, ავარია შეგვემთხვა. ჩვენს „ლენდ როვერს" უფრო „მხეცი" სატვირთო მანქანა შემოხვდა და ცალი მხარე მთლად გაიტანა. მთელი სახე და სხეული შუშის ნამსხვრევებით დაგვეფარა. ბედად ბრდღვიალა მზე იყო და ამიტომ ყველას სათვალე გვეკეთა, თორემ თვალებს თუ არა, მხედველობას დავკარგავდით. მაგრამ მძიმე ტრავმას მაინც ვერ გადავურჩით — მიხეილ ჭიაურელს ავარიის მომენტში იდაყვი ფანჯრიდან ჰქონდა გადაყოფილი. ისე დაემსხვრა იდაყვი, რომ გადათხლეშილი ხორციდან ძვლები გამოჩროდა. ძვლების ნამსხვრევები კი მერე ავკრიფეთ. მანამდე, მისი მკლავის დანახვაზე, ლამის ყველას გული წაგვივიდა, ის კი ყვიროდა, პირი რას დაგიღიათ, ვიდეოზე გადაიღეთ ჩემი მკლავიო და მანამ თავისი არ გაიტანა, ახლოს არ გაგვიკარა. ბედად, იქვე საველე აეროდრომი იყო. იქიდან „სანავიო" გამოვიძახეთ და ისიც კენიიდან მოფრინდა, რადგან ნაირობი უფრო ახლოს იყო. მიშას დათო სიმონიშვილი და ერთიც ჩვენთან მყოფი ინგლისელი მთამსვლელი გავაყოლეთ, რადგან პატარა თვითმფრინავში ყველანი ვერ დავეტეოდით. მეორე დღეს ჩვენც ნაირობში ჩავედით. იქ მიშას ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ საამისოდ საჭირო იყო ბლომად ფული, რაც ჩვენ არ გვქონდა და გადაუხდელობის შემთხვევაში მიშას იქიდან არავინ გამოუშვებდა. ამიტომ მოსკოვში დავუკავშირდით ჩვენს საელჩოს, რომლის საგარანტიო წერილის მერე ყველაფერი კეთილად დასრულდა. მოსკოვში დაბრუნებულებმა მიშა მივიყვანეთ მოსკოვის ჰოსპიტალში, სადაც ალბათ კიდევ ერთ ოპერაციას გაუკეთებენ. როგორც ექიმები ირწმუნებიან, ჭიაურელს ხელი შერჩება და კიდევ ბევრ ფილმს გადაიღებს.

### წინ ჯომოლუნგმაა

გია თორთლაძემ კიდევ ბევრი რამ საინტერესო გვიამბო. მათ შორის თავის უახლოეს გეგმებზე. ასეთი კი გახლავთ „მსოფლიო ნაკრების" ექსპედიცია დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე. მის წევრებს ყაზახელი ერვანდე ოლინსკის მეთაურობით 27 მარტს ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში თავმოყრა დაუთქვამთ.

**ავთანდილ გურასაშვილი**

---

გოგი ახვლედიანის

## სვეტი

## სარაგბო-ფიქრები

რაღა მაინცდამაინც რაგბი? სიმართლე რომ ვთქვა, ამ თამაშში წესების დონეზე თუ ვარ გარკვეული. თამაშის იმგვარი გაგება და აღქმა, რაგბზე მწერალ კაცს რომ სჭირდება, არა მაქვს. ისიც უნდა გითხრათ, რომ წესების შესწავლაზეც გვარიანი დრო დავხარჯე, მაგრამ არ მინანია. ეს საუცხოო თამაში კაცის გულში მეტად კეთილშობილური ნაბიჯით შემოდის.

დაკვირვებული ვარ — რაგბმა ბოლომდე ჩათრევა იცის. აქ არ არსებობს საქმეში „ისე რა" ჩახედული და ჰაიჰარად გარკვეული ქომაგი. თითოეული მათგანი პროფესიონალია. ჩემისთანა და თქვენისთანა მოყვარული ქომაგი იქ ძალზე ცოტაა და ჩვენი ქომაგობაც იმგვარი ხასიათისაა, რომ საერთაშორისო თამაშზე სტადიონს ვეწვიოთ და ნაკრებს ტაშით შევეწიოთ. ამ ტაშის ორიოდეჯერ შემოკვრის სანაცვლოდ რაგბი გვჩუქნის განუმეორებელ შეგრძნებებსა და წუთებს.

აბა გაიხსენეთ რუსებთან თამაშის მიწურული, სულისშემძვრელი ჭიდილი მოედნის კიდეზე და ქართველების ლელო. ანდა გერმანელებთან გამართული მუშტიკრივი და გამარჯვება. ან ის შუადღე „ლოკომოტივის" სტადიონზე, სადაც არც სკამია, არც სახურავი და სადაც კოკისპირულ წვიმაში ფეხზე იდგა 500-600 კაცი და ჩეხებთან თამაშს უმზერდა. ეს, რა თქმა უნდა, სულაც არაა მთავარი ამ თამაშში, ეს უფრო გარეგნული, გრძნობათა ამშლელი ნიშნებია, მაგრამ არაპროფესიონალი სწორედ ამ გზით მიდის რაგბთან, სწორედ ასე უახლოვდება ამ თამაშს. გზა გულზე გადის.

ჩვენი სარაგბო ცხოვრების უსიამოვნო ნაწილი სწორედ ის არის, რომ იმ 35 წელიწადში, რაც საქართველოს რაგბი გაუჩნდა, არავის უცდია, რომ ეს თამაში ხალხთან მიეტანა. არავის უცდია ეჩვენებინა ეს თამაში იმგვარად, როგორც ფეხბურთი, კალათბურთი, ან თუნდაც ჭადრაკი. პირადად მე სულ ბოლო დრომდე არ მახსოვს არცერთი აფიშა ქალაქში, სარაგბო მატჩის დაწყება რომ შეეტყობინებინა. ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობდა. მახსოვს ორიოდე სარაგბო ტელერეპორტაჟი, ისეთი, ზრდილობის გულისთვის გადმოცემული რომ ჰქვია.

ეს წვრილმანებია, მაგრამ მაინც ჩანს, რომ რაგბი იყო თავისთვის, ქვეყანა — თავისთვის. ქართველები ჩემპიონებს ხდებოდნენ — ვითომ არაფერი. თასს იღებდნენ — ორგზის ვითომ არაფერი. გულშემატკივართა სამყარო არ იცნობდა თავის გმირებს. გმირებს რა, თამაშსაც არ იცნობდა. მორაგბეთა არმია იზრდებოდა, ასობით ბიჭი ოვალურ ბურთს ჰკიდებდა ხელს და მას ველარც თმობდა. ცუდი ეს იყო, მთელი ეს ქართული სარაგბო სამყარო ხალხის სმენისა და მზერის არეში მაშინ მოხვდებოდა, როცა რომელიმე მორაგბე მკლავს გაშლიდა. თამაში ჩხუბთან იყო გაიგივებული — საუცხოო თამაში.

დღევანდელი ქართული სარაგბო ერთობა, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ამ ჯებირის გარღვევას ცდილობდა. რაგბის მთავარი ამოცანა ჩემნაირი სარაგბო ცოდნის ქომაგთა გულებში ადგილის დამკვიდრება მგონია. მერე ისეთების მიზიდვაა საჭირო, ვისაც ეს თამაში ჩხუბი ჰგონია.

ქართული რაგბი ალალად ცდილობს ამას, მედიაც ასე თუ ისე ეხმარება, მაგრამ საქმეს აუარებელი ფული და პროგრამა ჭირდება. ოდესღაც ამერიკაში კალათბურთის სახელმწიფო პროგრამა შემუშავდა: კოლეჯებსა და კალათბურთის საგნად ქცევას რომ შეეუშვათ, ყველა ეზოში ფარი დაიდგა. რაც გამოვიდა ამ საქმიდან, ნახეთ: „I LOVE THIS GAME" გამოვიდა.

დაახლოებით ასეა ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. ახლა ბავშვებში რაგბის ბუმია. ჩემი 8 წლის შვილიც იწევს, მიმიყვანეო. მთავარია, ეს ბუმი სარაგბო წრეში არ ჩაიკეტოს, თორემ რაგბი მოთამაშეთა და ახალ პროფესიონალ ქომაგთა არმიას რომ შეიმატებს, მაინც ჩაკეტილ თემად დარჩება. კარი ფულმა და ჭკუამ უნდა გააღოს — მგონი ამერიკა არ აღმომიჩენია.

ახლა საქართველოში რუმინეთის ნაკრები სტუმრობს. ერთმა რაგბის მეოხმა კაცმა მითხრა, რუმინულ კლუბ „სტიაუას" ხუთი სათამაშო მოედანი აქვსო. ამ დროს სრულიად საქართველოს სარაგბო საზოგადოება გაპარტახებულ სტადიონზე თამაშის უფლებას ჩალიჩობს და ამაზე ლამის ტროას ომი აიწიოს. მერე შენ მიდი და ღირსეული რაგბი ითამაშე. მაგრამ აკი ვთქვით ამ თამაშის უცნაურ თვისებაზე: გულის მონადირება და თავდავიწყებული სიყვარული, რასაც დღემდე მოუყვანია ჩვენი რაგბი, ასე მგონია, რომ დღემდე რჩება მის მთავარ ძალად.

# მთის თხილამურები



## დაეწევა კი ომოდტი ალფონს?

ვეილში (კოლორადო, აშშ) ამ უქმეებზე სეზონის დამაგვირგვინებელი ფინალებია. ქალთა მსოფლიო თასი იქ ჩასვლამდე დაიბევა შვედმა პერნილა ვიბერგმა, ვაჟთა შეჯიბრში კი ფრანგი ლიუკ ალფონი 117 ქულით უსწრებდა ნორვეგიელ ხეტილ-ანდრე ომოდტს.

ფინალები ოთხშაბათს დაიწყო დაშვებით. ჯერ ქალებმა იასპარეზეს, მერე ვაჟებმა. დარი დიდებული იდგა.

ქალები. 1. ვიბერგი; 2-3. რენატე გეხლი (ავსტრია) და კატია ზაიცინგერი (გერმანია) ჩამორჩნენ ნამის 3 მეასედით; 4. იზოლდე კოსტნერი (იტალია) 33; 5. ჰაიდი ცურბრიგენი (შვეიცარია) 50; 6. ჰილდე გერგი (გერმ) 68; ... 18. ვარვარა ზელენსკაია (რუსეთი) 188

სლალომის მსოფლიო თასზე კამჩატკელი ზელენსკაია, ვინაც წინა სამ ეტაპზე გაიმარჯვა, 2 ქულას უგებდა ცურბრიგენს, ხოლო 20 ქულას — გეხლს. ვარვარამ ფინალში მისთვის შეუფერებელი ადგილი დაიჭირა და უქულოდ დარჩა. ცურბრიგენის მონაგარმა 45 ქულა შეადგინა, 21 წლის გეხლისამ კი — 80. ჰოდა, ამ ქალმა, სესტრიერეს მსოფლიო პირველობაზე კომბინაცია რომ მოიგო, 8 დაშვების ჯამში 483 ქულა დააგროვა და თასს დაეუფლა. სხვათა სეზონური მონაგარი ასეთია: ცურბრიგენი 466, ზელენსკაია 423, ვიბერგი 412, ზაიცინგერი 405, კოსტნერი 365, გერგი 265.

26 წლის ვიბერგმა ეტაპი მე-20-ედ მოიგო, მაგრამ ერთობ გაიხარა, რადგან დაშვებაში კარიერაში პირველად გაიმარჯვა. აკი სეზონის წინაც ამბობდა, მთავარ მიზნად დაშვების მოგებას ვისახავო.

ვაჟთა დაშვებაში მოწინავე ექვსეულში ერთბაშად ხუთი ავსტრიელი მოხვდა: 1. ფრიც შტრობლი; 2. კრისტიან გედინა (იტალ) 37; 3. ჰანეს ტრინკლი 39; 4. ვერნერ ფრანცი 44; 5. იოზეფ შტრობლი 58; 6. ანდრეას შიფერერი 59; ... 9. ალფონი 100 (29 ქულა); ... 11. ომოდტი 115 (24 ქულა)

თასის ზედიზედ მესამედ მფლობელ „ლიუშო“ ალფონს არნახული მარცხი შეემთხვა — სეზონში აქამდე VI ადგილზე დაბლა არ გასულა. ამაზე ომოდტმა ბრძანა, მეტოქემ ჩემი საბოლოოდ ჯობნის შანსი ხელიდან გაუშვაო. საქმე ისაა, რომ ნორვეგიელს დიდი ფორა აქვს — ჩქაროსანი ფრანგისგან განსხვავებით ყველა სახეობაში ასპარეზობს. რაც შეეხება გამარჯვებულ შტრობლს, მან სეზონის პირველი და ბოლო დაშვება მოიგო, სულ კი მესამედ გაიმარჯვა.

**11 დაშვების ჯამი: ალფონი 779 ქულა; გედინა 700; ფ. შტრობლი 571; ფრანცი 517; ი. შტრობლი 470**

რენატე გეხლმა მსოფლიო პირველობაზე ავსტრიას ერთადერთი ოქრო რომ მოუტანა, ხელში აიტაცეს, თავად კი ქომაგებს შამპანური ასხურა

როიტერ-ის ფოტო

ხუთშაბათს სუპერ-გიგანტები გაიმართა. ისინი ამ დისციპლინის ლიდერებმა — ალფონმა და ვიბერგმა ვერ მოიგეს. ქალს ეს თასის დაკარგვად დაუჯდა, ვაჟმა კი დაშვების თასს სუპერ-გიგანტისა მაინც შემატა.

ქალები: 1. ზაიცინგერი; 2. გერგი 80; 3. მარტინა ერთლი (გერმ) 128; 4. ინგებორგ-ჰელენ მარკენი (ნორვ) 134; 5. ფლორანს მანადა (საფრანგეთი) 155; 6. ლეტისია დალო (საფრ) 172

ვიბერგს კარი გამორჩა და უქულოდ დარჩა. 24 წლის ზაიცინგერმა 28-ე ეტაპზე გაიმარჯვა (12 დაშვება, 4 გიგანტური სლალომი, 12 სუპერ-გიგანტი). თასი კოსტნერს „ველურმა“ გერგმა წაართვა. 7 სუპერ-გიგანტის ჯამი: გერგი 490 ქულა; ზაიცინგერი 474; ვიბერგი 449; კოსტნერი 355; ერთლი 248; მანადა 221

**მსოფლიო თასი** (30 ეტაპის ჯამი; [illegible] 2): ვიბერგი 1 815; ზაიცინგერი 1 284; გერგი 1 100

ვაჟები: 1. ანდრეას შიფერერი (ავსტრია) (100 ქულა); 2. ი. შტრობლი 4 (80 ქულა); 3. გედინა 12; 4. ლუკა კატანეო (იტალ) 53; 5. ომოდტი 60 (45 ქულა); ... 9. ალფონი 81 (29 ქულა)

შტრობლს რომ მოეგო, ალფონს 2 ქულით აჯობებდა და თასსაც დაეუფლებოდა. **6 სუპერ-გიგანტის ჯამი: ალფონი 351; ი. შტრობლი 333; შიფერერი 256; ჰერმან მაიერი (ავსტ) 230; გედინა 218**

**მსოფლიო თასი** (34; დარჩა 2): ალფონი 1 130; ომოდტი 1 024; გედინა 990; ი. შტრობლი 981

22 წლის ანდრეას შიფერერმა ხელი სეზონის ბოლოსლა გამოილო: ერთი ბრინჯაო, ორი ვერცხლი და აი, ოქროც!

ფრანს პრესი ვეილიდან



# ჩოგბურთი

## ანდრეს პიტიცა და გორანიც მიყვნენ

ინდიან-ველზში (კალიფორნია, აშშ) „მერსედეს-სუპერ-9“-ის პირველი ტურნირები მიმდინარეობს. ქალთა „სთეით ფარმ ევერტ ქაფზე“ რაკი გრაფი, ჰინგისი, სელეში და ნოვოტნა არ თამაშობენ, მოსანადირებელი ცოტა ვინმე თუა, რის გამოც ღირსშესანიშნავი არაფერი ხდება. რაც შეეხება ვაჟთა „ნიუზვიკ ჩემპიონზ ქაფს“, იქ სამშაბათ-ოთხშაბათს კიდევ ორი ბობოლა გავარდა.

ქალთა მეოთხედფინალები: არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 1) — სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) 3:6, 6:2, 6:2; ლინდზი დავენპორტი (აშშ, 4) — ვინუს ვილიამსი (აშშ) 6:4, 5:7, 7:6 (7-1); მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ, 9) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 2) 6:4, 6:4; ირინა სპირლეა (რუმინეთი, 6) — ნატალი ტოზია (საფრანგეთი, 13) 6:4, 6:4. **16 წლის** ზანგი ვილიამსი, **211-ე** ჩოგანი რომაა და წინა წრეში ივა მაიოლი (ხორვატია, 5) გააგდო, ოლიმპიურ ჩემპიონ დავენპორტს გადამწყვეტ ხელს **4:1** უგებდა.

ფინალი დღესაა. ხუთშაბათის ნახევარფინალში სპირლეამ 4:6, 6:3, 6:3 ძლია სანჩეს-ვიკარიო, დავენპორტი და ფერნანდესი კი წუხელ ითამაშებდნენ.

„სარბიელში“ რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ 95 26 90

პიტ სამპრასს (აშშ, 1) წელს სამი ტურნირი (მელბურნი, სან-ხოსე, ფილადელფია) და 17-ვე მატჩი მოეგო, „ჩემპიონთა თასზე“ კი პირველსავე წრეში დამარცხდა. **1994** და **1995** წლების გამარჯვებულ სამპრასს ცხელ უდაბნოში ასპარეზობა არასოდეს ემარჯვებოდა. შარშან ამის გამო ჰოლანდიელ პაულ ჰაარჰუისთან დამარცხდა, ოთხშაბათს კი **22** წლის პრაღელ სტუდენტ ბოჰდან ულიჰრახთან თამაშისას **29** უნებური შეცდომა მოუვიდა და **6:7 (5-7), 5:7** წააგო. იმავე დღეს ჯონათან სთარქმა (**აშშ**) **7:5, 6:3** ძლია გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, **4**), ქრის ვუდრაფმა (**აშშ**) — თომას ენკვისტი (შვედეთი, **5**) **6:4, 6:4**, ხოლო მარკ ფილიპუსისმა (ავსტრალია), ვინაც წინა დღით ანდრე აგასი (**აშშ, 10**) ორი თაი-ბრეიქით გააგდო, თანმემამულე თოდ ვუდბრიჯს ამავე ყაიდაზე მოუგო (**7-4 და 11-9**). სულ თავიდან, ორშაბათსვე გავარდა ჯიმ კურიე (**აშშ, 16**), ვისაც ფრანსისკო კლავეტმა (ესპანეთი) **6:4, 4:6, 6:4** აჯობა.

მეოთხედფინალს ერთადერთმა ამერიკელმა უწია — შარშანდელმა ჩემპიონმა, 175-სანტიმეტრიანმა მაიკლ ჩანგმა (3) 6:2, 7:5 დაამარცხა ორმეტრიანი მარკ როსე (შვეიცარია, 13). სხვა მერვედფინალები ხუთშაბათს ასე დასრულდა:

თომას მუსტერი (ავსტრია, 2) — სლავა დოშედელი (ჩეხეთი) 6:4, 6:4; ფილიპუსისი — კარლოს მოია (ესპანეთი, 8) 6:4, 6:3; ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი, 14) — სთარქი 7:6 (8-6), 6:3; სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 6:7 (6-8), 6:2, 6:4; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — ვუდრაფი 2:6, 7:5, 6:1; ულიჰრახი — კლავეტი 7:5, 7:6 (7-5); ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) — გუსტავო კერტენი (ბრაზილია) 6:3, 6:3

# ვარსკვლავი



## რუსს ხუთი ჭიქა რას დამაკლებდაო

ლილეჰამერის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ოქსანა ბაიულმა ასე უპასუხა მავანი ტელე-შოუს წამყვანის შეკითხვას, ნასვამი მანქანის საჭეს რა გულზე მიუჯექიო.

ოქსანა 19 წლისაა. თავის დროზე ცნობილი მოციგურავე იყო. ახლა კონექტიკუტში (აშშ), ჰართფორდის გარეუბან სიმსბრიში, საკუთარ სახლში ცხოვრობს და თავისავით გადახვეწილებთან მეგობრობს.

ოქსანა ტომით უკრაინელია, მაგრამ ამერიკელს როგორ აუხსნი, რომ ექს-საბჭოეთში რუსების გარდა სხვა ხალხებიც ცხოვრობენ. ჰოდა, თავისიანთა ზნე მაყურებელთათვის უკეთ რომ განემარტა, ბაიულმა ამად მოირუსა თავი.

იანვარში ოქსანამ მორიგი შოუს შემდეგ ხუთი ჭიქა „ლონგ-აილენდური ყინულიანი ჩაი“ გადაკრა და უკრაინელივე ძმობილი არარატ ზაქარიანი (ფოტოზე) შინ წაიყვანა, მაგრამ გზად მოცურდა და „მერსედესი“ დალეწა. თავადაც ტვინი შეერყა და თავზე 12 ნაკერი დაადეს. კავალერს არაფერი დაშავებია.

მერე გაიმართა სასამართლო. ბაიულმა შანსიანი ვექილები დაიქირავა. ამათ იჩალიჩეს და ქალი ლამისაა მშრალად გამოიყვანეს საშარო საქმიდან.

ბოლო გარჩევამ ოდენ 10 წუთი გასტანა. ოქსანამ ითხოვა, დამწყები ლოთების გამასწორებელ, 450-დოლარიან კურსებზე მიმავლინეთო. ამის გამო ეპატია მანქანის მთვრალად მართვა, თორემ 1 000 დოლარი ჯარიმა და 6 თვე ციხე ელოდა. ვერც ბრალმდებელმა გამოიდო თავი, რადგან ქალს სიმთვრალის სინჯი საავადმყოფომ აუღო და არა პოლიციამ, შტატის კანონებით კი ჰოსპიტალის დასკვნა სამხილად ვერ გამოდგება.

გამოძიებამ ბაიულს ბოლომდე ვერც ის დაუმტკიცა, რომ მანქანას თავზეხელაღებულად მიაგელვებდა. ამის გამო სასამართლომ ქალს 90 დოლარი ჯარიმა და საზოგადოების სასარგებლოდ 25 საათი გარჯა აკმარა.

# რაგბი

The 1997 5 Nations

## ხუთი ერის პირველობა

ბოლო ტური, დღეს:

უელსი — ინგლისი

საფრანგეთი — შოტლანდია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 82: 57 | 10- 4 | 6 |
| ინგლისი | 3 | 2 | 0 | 1 | 107: 42 | 11- 3 | 4 |
| უელსი | 3 | 1 | 0 | 2 | 81: 72 | 10- 8 | 2 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 70: 85 | 7- 9 | 2 |
| ირლანდია | 4 | 1 | 0 | 3 | 57:141 | 4-18 | 2 |

## ჯონათანის გედის სიმღერა



ფრანგები დღეს თუ გაიმარჯვებენ, მეხუთედ მოიხვეჭენ სიმბოლურ დიდ სლემს, ოთხივე მეტოქის ძლევას რომ ნიშნავს. 1968, 1977, 1981 და 1987 წლებში „მამლებმა“ ბოლო მატჩი სტუმრად მოიგეს, ახლა კი დიდი მისია შინ აქვთ გასასრულებელი. ამის გამო ბიჭები გააფრთხილა 1977 წლის „სლემოსანმა“ მწვრთნელმა ჟან-კლოდ სკრელამ, მეტოქე საკადრისად დავაფასოთ; ვინძლო ისტორიული შანსი ხელიდან არ გამოგვეცალოსო.

ფრანგებმა ტრადიციას არ უღალატეს და სამშაბათ საღამოს ტრადიციული მატჩისწინა სუფრა გაშალეს, რომელზეც გუნდს წითელი ღვინით დალოცავენ ხოლმე. ორი წლის წინ სქოთებმა 26-წლიანი ნავსი გატეხეს და პარიზში, როგორც იყო, გაიმარჯვეს. ახლაც წინა ტურში ირლანდიის მოსრვის შემდეგ დიდ გულზე არიან და აცხადებენ, პარიზს გასამარჯვებლად მივდივართ და არა ქალაქის ღირსშესანიშნაობების მოსახილადო. შოტლანდიას უცვლელი 15-ეული ეყოლება.

ფრანგებს სამი კაცის შეცვლა მოუხდათ. დაშავდნენ ნახევარმცველები — ალენ პენო (10) და ფილიპ კარბონო (9). მათ შეცვლიან ნორჩი დავიდ ოკანი და გამოცდილი გი აკოსებერი. გარდა ამისა, ბურჯმა კრისტიან კალიფანომ შინაურ მატჩში მეტოქეს მუშტი აძგერა და გააგდეს, რის გამო არც ნაკრებში ათამაშებენ. მის ადგილს იმავე ალნაგობის პატრონი დიდიე კაზადეი დაიჭერს.

თუ ფრანგები დამარცხდებიან, ინგლისი კი კარდიფში გაიმარჯვებს, ზედიზედ მესამედ ჩემპიონიც გახდება. ეს მატჩი დიდი სევდისმომგვრელი რამ უნდა იყოს, რაკი ლიანგურ გამოთხოვებად იქცევა.

ერთი, რომ უელსის ნაკრები უკანასკნელად ითამაშებს „არმზ პარკზე“, რომელსაც სეზონის ბოლოს დაანგრევენ, რათა 1999 წლის მსოფლიო თასის ფინალის მასპინძელი მშვენება წამოჭიმონ. მეორე, რაკი ნორჩი 10 ნომერი არველ თომასი დაშავებულია, უელსელებმა სასტარტო შემადგენლობაში დააყენეს 34 წლის ჯონათან დევისი, ვისაც ცუდ დროს მოუხდა მოღვაწეობა — ფულს დახარბდა და რვა საუკეთესო წელი ლიგის რაგბს შეალია. დიდ ჯონათანს უთქვამს, ინგლისის წინააღმდეგ ნაკრებში უკანასკნელად ვითამაშებო, თუმცაკი მაის-ივლისში სამხრეთ აფრიკას მიმავალ „ბრიტანელ ლომებში“ მოხვედრის იმედი კიდევა ჰქონია.

უელსს არ ეყოლება დევისის ნალიგალი კოლეგა სქოთ გიბსი (13) და ვეტერანი გარემარბი იაიან ევანსიც. წინა ტურში საფრანგეთის მიერ სასწაულად ძლეულმა ინგლისმა კი ყველაფერი 9 ნომერ ენდი გომერსოლს დააბრალა და მის ნაცვლად ოსთინ ჰილი დააწინაურა, ჯერ კიდევ ორი წლის წინ გარემარბი რომ იყო. დაშავდა 10 ნომერი პოლ გრეისონიც. მას მაიკლ ქეთი შეცვლის, მაგრამ მწვრთნელი ჯეკ რაუელი ისე შეშინებულა, რომ სათადარიგოდ — 34 წლის პენსიონერი რობ ენდრიუ უხმია, ვინაც შეიძლება 71-ე კეპი მოიხვეჭოს.

ორივე მატჩის პირდაპირი ტელე-რეპორტაჟის ხილვა მეშვიდე არხის აბონენტებს ჩვენი დროით 19 საათიდან შეეძლებათ.

## „ქურციკები“ ზანგდებიან

სამხრეთი აფრიკის რაგბის ისთაბლიშმენთს იმდენი აყვედრეს, ჯერაც ვერ გარდაქმნილხართ პრეზიდენტ ნელსონ მანდელას რასობრივი შემწყნარებლობისა და ეროვნული გამთლიანების იდეების შესაბამისადო, რომ ამ ქვეყნის რაგბის კავშირმა რომის პაპზე უმეტესი ქრისტიანობა მოიწადინა, ზანგთა სათაყვანო ფეხბურთს გაუსწრო და საუკუნოვანი ტრადიციების მსხვრევას მიყო ხელი.

მანდელას ხელისუფლებას 1994 წლის დამლევს ადმინისტრაციულ ერთეულ ტრანსვაალისთვის ზანგურად „ჰაუტენჰ“ უწოდებია. ექს-ტრანსვაალში მოქმედმა ხუთმა რაგბის კავშირმა სიახლეს თავის დროზე წაუყრუა, ახლა კი თვის ბოლომდე წლიური საანგარიშო სხდომები დანიშნა, რომლებზეც ყველა დასახელებიდან ამოშანთავს ტრანსვაალის ხსენებას.

იოჰანესბურგის გუნდსა და რაგბის კავშირს, 108-წლიანი სახელოვანი ისტორია რომა აქვს, ამიერიდან თურმე ოდენ „ოქროს ლომები“ ერქმება, მის ნაბარტყ, 59 წლის პრეტორიის ჩრდილოეთ ტრანსვაალს — ოდენ „ლურჯი ხარები“, აღმოსავლეთ ტრანსვაალს — „წითელი ეშმაკუნები“, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ტრანსვაალს მთლად უკეთესი — მპუმალანგას „შევარდნები“ ანაც „არწივები“.

დიდი ცვლილებებია ეროვნულ გუნდ „ქურციკებშიც“ („სპრინგბოკენ“, „სპრინგბოქს“), რომელსაც პრეზიდენტი მანდელა გამოექომაგა, თორემ შანშანვე გა-პროთეება არ აცდებოდა (პროთეა აფრიკული ყვავილია!). ზანგური პრესა რაგბის ნაკრებს კარგა ხანია „ამა-ბოკო-ბოკოს“ ეძახის, ესაო და ჩვენი „ბოკოები“ (ქურციკები) არიანო.

იმასაც ვწერდით, თუ რა რეზონანსი მოჰყვა ნაკრების მწვრთნელ ანდრე მარკჰრააფის მიერ ზანგების ფარულად გინებას, მავანმა მოთამაშემ ჩუმად კასეტაზე რომ ჩაწერა და მერე სენსაციებს დახარბებულ მედიას მიყიდა. მარკჰრააფი ატირდა და გადადგა, რითაც მთელი ქვეყნის გული მოიგო.

„ქურციკთა“ ახალ მწვრთნელად „გარემარბთა უფლისწულად“ ცნობილი, 36 წლის კარელ დიუპლესი დაინიშნა. ამან არც აცია, არც აცხელა და დახსნა მარკჰრააფის მთელი გარემოცვა. მამალმა აფრიკანერმა დიუპლესიმ ყველაზე საპატიო — მენეჯერის პოსტი ჩააბარა 45 წლის არსობ პიტერსენს, რაგბში მონაწილეობის 20-წლიანი სტაჟი რომა აქვს და რაგბის ნაკრების პირველი ზანგი მენეჯერი იქნება. პიტერსენი აქამდე მეორე ნაკრებთან ტრიალებდა.

მენეჯერი არსობ პიტერსენი



მწვრთნელი კარელ დიუპლესი




# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29